ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 3 აგვისტო 1999 №145 (918) | ფასი 50 თეთრი


2

## ძოძუაშვილი ლატვიიდან მიდის



ლატვიელებს თბილისში ქართველი მწვრთნელი არ ჩამოუძღვება

2

## ტორპედომ ეკერენს იუბილე მიულოცა

ქუთაისელებმა სამ დღეში 13 გოლი გაუშვეს: 0:4 „ლომელთან“ და 2:9 „ეკერენთან“

8

## შუკერი არსენალში გადავიდა

ლონდონურმა კლუბმა ხორვატ თავდამსხმელში 5,67 მილიონი დოლარი გადაიხადა

8

## კალიების ახალი მწყემსი



როი ჰოჯსონი „გრასჰოპერის“ მთავარი მწვრთნელი გახდა

12

## 36 წლის მელოუნში 67 მილიონიც არ დაინანეს



ყველაზე ძვირადღირებული სოლისტი „ჯაზის“ ისტორიაში

# ირვინისიმო!

იტალიური „ფერარის“ ირლანდიელმა პილოტმა ედი ირვინმა კვირას ზედიზედ მეორე, გერმანიის დიდი პრიზიც მოიგო და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონსა და წლევანდელი პირველობის აწ უკვე ექს-ლიდერ მიკა ჰაკინენს რვა ქულით გაუსწრო.

ირვინის აღმასვლა მრავალთათვის მოულოდნელი იყო, ერთადერთი, ვისაც მტკიცედ სწამდა მისი წარმატებისა და ამას არც მალავდა, თავად ედი იყო. ამიტომაცაა, „ფერარის“ მაღმერთებელი მთელი იტალია, და არა მხოლოდ, ირვინს აღტაცებით „ირვინისიმოდ“ რომ მოიხსენიებს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS ფოტოქრონიკა

ედი ირვინი

# შეგვიანებულმა დინამომ ამოისუნთქა

## «ზღელი» თბილისიდან გრილ კიშინიოვში



ძოგა ინასარიძე

კიშინიოვიდან

ესლა აკლდათ თბილისური მზით გათანგულ დინამოელებს — გუშინ საქართველოს ჩემპიონთა კიშინიოვში გაფრენა გაგანია სიცხეში, 4 საათზე რომ იყო დაგეგმილი ავიაკომპანია „აირზენას“ თვითმფრინავით, მხოლოდ ორსაათნახევრით გვიან, შვიდის ნახევარზე მოხერხდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, როცა დაახლოებით 40 გრადუსიან სიცხეში ხალხი, ლამისაა მოიხრუკოს და ერთთავად გაგრილების საშუალებას ეძებს, ჩვენმა დინამოელებმა ბარე ერთი საფეხბურთო ტაიმი ტუ-154-ის საუნასავით ცხელ სალონში დაჰყვეს. თურმე ნუ იტყვით და ტემპერატურას ლაინერის ერთ-ერთი დეტალისთვისაც დაუმჩნევია კვალი, პილოტების კაბინაში ხელსაწყოებიც აურევია. ეკიპაჟმაც ყოველგვარი საფრთხის გამოსარიცხად ოსტატებს უხმო, რეისიც გადაიდო და როგორც იქნა, მოლდოვის დედაქალაქს დაგვიანებით, თუმცაღა უკვე მშვიდი და კომფორტული ფრენის შემდეგ ვესტუმრეთ. „აირზენას“ მუშაკებს არც ბოდიში დავიწებიათ. რას იზამ, მაღალი ტემპერატურა ჩვენ კი არა, თვითმფრინავსაც აწუხებსო.

გაგიხარდებოდა კაცს დინამოელთა შეხედვა. მთელ აეროპორტსაც გუნდის წევრებისკენ მიეპყრო მზერა. ფირმა „კაპას“ თეთრ მაისურებსა და ლურჯ შორტებში გამოწყობილიყო ყველა, უჩვეულოდ ის გვეჩვენა, ბოტასიც და წინდაც უკლებლივ ყველას ერთნაირი რომ მოერგო. გამონაკლისი მხოლოდ მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი გახლდათ. ჩაცმულობის თავისუფალი სტილის დამფასებელი ჰოლანდიელი თვითმფრინავის აფრენამდე და შემდეგიც ერთობ უდარდელი ჩანდა, თანაშემწეებთან მხოლოდ იმაზე დაიჩივლა, კიშინიოვში გვიან ჩაფრენამ რომ მოუწია.

მეკარე დენიტ დონდტი ფლანდრიულ-ფრანგულ-ქართულად ერთთავად — ზღელა, ზღელაო, გაიძახოდა. მიხვდებოდით, მეკარე აუტანელ სიცხეს შეეწუხებინა.

აი, ბრაზილიელი, ქართველ ქომაგთაგან უკვე ათვალწუნებული ანდრე სილიუ დე სოუზა კი, ეტყობა, რაღაცას რომ განიცდის, გულჩათხრობილია, თბილისის აეროპორტშიც, იცოცხლეთ, ამის შესამჩნევად დრო საკმაო მქონდა, სულ მარტოდმარტო მიმოდიოდა.

ქართველ დინამოელებს კი რა უჭირთ. კარგ ხასიათზე არიან და კარგად თამაშსაც გვპირდებიან. კიშინიოვში „დინამოს“ ტრავმირებული არჩილ სახვაძე დააკლდება. ის თბილისში დარჩა, ისევე როგორც მეკარე სოსო გრიშიკაშვილი. სამაგიეროდ კი ბოსკამპს ნაკრების თუ „დინამოს“ ხიზნების — ზურაბ ხიზანიშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის ეიმედება. ისინი შვედეთის შემდეგ თითქმის მოშუშებულან.

„დინამოს“ კიშინიოვში დირექტორატის წევრებისა და ჟურნალისტების გარდა 16-კაციანი გულშემატკივართა გუნდიც ახლავს. „დინამოს“ მაისურებში გამოწყობილნი ეროვნული დროშებითა და საყვირებით ისინი ჩვენებურთ გაამხნევებენ.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, კიშინიოვში 22 გრადუსი სიცხეა. ჩვენებმაც ოდნავ ამოისუნთქეს, ოფლიც თვითმფრინავშივე შეაშრათ და აქაურ აეროპორტში „კაპას“ თბილი მოსასხამებიც კი მოირგეს.

ფეხბურთელებმა არც კი ივახშმეს, პირდაპირ „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანს მიაშურეს, თუმცა ვარჯიში ცენტრალურ მინდორზე ჰქონდათ დაგეგმილი. საქმე ის ყოფილა, რომ მოლდოველებმა „დინამოს“ არ ადროვეს, ჩვენებს მოედანი 6-დან 7 საათამდე უთხოვიათ. მოლდოვური ზვრებით გაშენებულ მადლიან მიწაზე კი ქართველებმა რვის ნახევარზე დავდგით ფეხი.

ჩვენებს დიდხანს არ უვარჯიშიათ, ბოსკამპმა ბიჭები მსუბუქად დატვირთა და დანარჩენებთან ერთად სასტუმრო „ჯულიანონისკენ“ გაეშურა.

„დინამო“ დღეს კიშინიოვის რესპუბლიკურ სტადიონზე ხვალინდელი მატჩის დაწყების დროს, თბილისურად რვა საათზე ივარჯიშებს. „ზიმბრუ“ — „დინამოს“ პირდაპირი რადიორეპორტაჟს კი საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით მოისმენთ, რომელსაც ალეკო ჯიბლაძე წაუძღვება.

და კიდევ, გუშინ „დინამოს“ ნახევარმცველი რატი ალექსიძე დაიქადნა — ოთხშაბათს „ზიმბრუს“ შავ დღეს ვაყრითო...

# წყალზე მფრინავი ჰოლანდიელი




REUTERS ფოტოქრონიკა

პიტერ ვან დერ ჰოოგენბანდე

ფრანსინა ბლანკერს-კუნი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი 40-იანი წლებში ისე დარბოდა, რომ „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეარქვეს. მერე და მერე ამ სახელით არაერთ გამოჩენილ ჰოლანდიელს უხმობდნენ.

ახლა 21 წლის პიტერ ვან დერ ჰოოგენბანდი ისე დაცურავს, რომ მას სახელგანთქმულ თანამემამულეთა მსგავსად „წყალზე მფრინავი ჰოლანდიელი“ უნდა ვუწოდოთ.

აი, პიტერ ვან დერ ჰოოგენბანდის ერთკვირიანი ნადავლი, რომელიც მან სტამბოლის საცურაო აუზში ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა:

ორშაბათი — ოქრო (4X100 მ. კროლი),
სამშაბათი — ოქრო (50 მ. ბატერფლაი),
ოთხშაბათი — ოქრო (100 მ. კროლი),
პარასკევი — ოქრო (200 მ. კროლი),
კვირა — ორი ოქრო (50 მ. კროლი და 4X100 მ. კომბინირებული ესტაფეტა).

იხილეთ მეცამეტე გვერდი

# ძოძუაშვილმა ლატვიელებს უგანა და ქართველებს გაეცალა

სანდო ლატვიური წყაროს ცნობით, გუშინ რევაზ ძოძუაშვილმა საუდის არაბეთის ერთ-ერთ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი. იმავე წყაროდან შევიტყვეთ, რომ ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ნორვეგიის, საბერძნეთის და საქართველოს მომგები ძოძუაშვილი ლატვიას მანამდე დაშორდება, ვიდრე ამ ქვეყნის ნაკრებს თბილისში მოუწევს ჩამოსვლა.

ძოძუაშვილის ახალ, ზუსტ მისამართზე ჯერჯერობით არაფერი ვიცით, რადგან გუშინ მასთან რიგაში დაკავშირება ვერ შევძელით.



რევაზ ძოძუაშვილი ლატვიიდან შორს იხედება

# გერეტსს გახოკიძე გაახსენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პსვ-ს ბელგიელი თავკაცის ერიკ გერეტსის სასელექციო მუშაობა დიდი უცნაურობით ხასიათდება. მას შეუძლია, მთელი თვით დაივიწყოს ზოგიერთი ფეხბურთელები, შემდეგ კი მოულოდნელად დააყენოს შემადგენლობაში.

გოგა გახოკიძის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ქართველმა მხოლოდ ივლისის დასაწყისში ითამაშა საკონტროლო შეხვედრა (გოლიც გაიტანა), შემდეგ კი გუნდიდან საერთოდ გამოიყვანეს და მისი იჯარით განათხოვრებაზეც სერიოზულად ალაპარაკდნენ. თითქოს მსურველიც გამოჩნდა — ესპანური „ოვიედო". ამ გარიგების რეალურობას გახოკიძის რუსი აგენტი კონსტანტინე სარსანიაც ადასტურებდა, თუმცა გასულ უქმეებზე გერეტსმა ქართველი მეორედივიზიონელ ვენლოს VVV-სთან ათამაშა.

პსვ-მ სტუმრად ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ვატერეუსი, ვილაერტი, დისქსი, შავიერსი, ფუხსი, ნიკიფოროვი, ხოხლოვი (ბრუგინკი), ივანი, კოლკა (დემო 46), გახოკიძე, სტინვა.*

პირველ ტაიმში გერეტსმა 1-4-1-2-3 სისტემა ირჩია. ნიკიფოროვი უკან დახეულ ჰავბეკად იყო გამწესებული. ტაიმი სტუმრებს დარჩათ, სტინგას პასით ივანმა გაიტანა. 5200 მაყურებელს გახოკიძემ თავი მშვენივრად დაამახსოვრა" — წერდა „Voetball"-ი. მეორე ნახევარში გერეტსმა ფეხბურთელებს ამპლუები შეუცვალა. ნახევარდაცვა ხაზზე განალაგა. ნიკიფოროვი კი დაცვის ცენტრში დასწია. სწორედ ყოფილი სპარტაკელის პასით გაიტანა მეორე გოლი გახოკიძემ, რომელიც ძალიან აქტიურობდა — 2:0 დაწინაურების მიუხედავად, პსვ-მ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და ზეგერსისა (62) და გრაფის (87) გოლების შემდეგ ფრეს დასჯერდა — 2:2.

თამაშის შემდეგ გერეტსი კვლავ უკმაყოფილო იყო: „მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში ბევრი ფეხბურთელი უჩვეულო ამპლუაში თამაშობდა, ორი გოლის გაშვება არ შეიძლებოდა, ისიც მეორე დივიზიონის გუნდთან". თამაშის შემდეგ გადაწყდა, რომ პსვ-ს დატოვებს „პორტუდან" აყვანილი მეკარე ივიცა კრალი.

კვირას გერეტსმა სამშობლოს მიაშურა და მინი-ტურნირში მიიღო მონაწილეობა (მატჩის ხანგრძლივობა 45 წუთი იყო). ბელგიელმა კვლავ არ წაიყვანა გახოკიძე. პსვ-მ პირველი მატჩი „გენკს" 1:0 მოუგო (გოლი ვან ნისტელროიმ გაიტანა), შემდეგ კი 0:2 დამარცხდა „ანტვერპენთან".

„პსვ" მორიგ საკონტროლო მატჩს ლივერპულში გამართავს „ევერტონის" წინააღმდეგ.

**სიმონ მენაბდე**



გოგა VVV-ს წინააღმდეგ საუკეთესო იყო

გურამ ცოლოგომაშვილის ფოტო

# ტორპედომ ეკერენს იუბილე მიულოცა

## ქუთაისელები 1997 წლის ბელგიის თასის მფლობელთან 2:9 განადგურდნენ!

შარშანს აქეთ თითქოსდა მტრადმოსაკიდებელ „ლომელთან" 0:4 მარცხის შემდეგ გუშინ ტორპედოელთაგან შაბათს ნაჭამი სირცხვილის ნაწილობრივ მობანას ველოდით.

ველოდით და გუშინ საღამოს ბელგიაში ქუთაისელებთან თუ ეკერენელებთან დაკავშირებას ამოდ ვცდილობდით. არც გაგვკვირვებია, „ეკერენის" ოფისსა თუ „ფელტვიიკპარკის" სტადიონზე რომ არავინ გვიპასუხა. სწორედ 2 აგვისტოს ბელგიის თასის შარშანწინდელი მფლობელი „ჟერმინალ ეკერენი" 79 წლის გახდა და უცხოეთში ასეთი, თუნდაც არამრგვალი, თარიღების აღნიშვნა როგორ სჩვევიათ, მოგეხსენებათ.

როგორც წუხელ ბელგიურ „გაზეტ ვან ანტვერპენში" ტელეფონით დაკავშირებულებს გვიპასუხეს, „ტორპედომ" „ეკერენს" ჩინებული საჩუქარი მიუძღვნა: 2:9 წააგო!

სამ დღეში „ტორპედო" ორჯერ დამარცხდა და თანაც 13 გოლი გაუშვა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# იაროსლავლში და უკან

ნახევარმცველი გიორგი მაზანიშვილი და თავდამსხმელი კოტე მეტრეველი „ტორპედომ", მართალია, ერთი თვის წინ ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუთაისური კლუბი ამ ფეხბურთელებს იოლად შეელევა.

ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ თავად ტორპედოელთა თავკაცის, დავით ყიფიანის რეკომენდაციით, მაზანიშვილისაც და მეტრეველიც წინა კვირაში რუსულ უმაღლესდივიზიონელ იაროსლავლის „შინიკში" იმყოფებოდნენ გასინჯვაზე. როგორც შევიტყვეთ, ჩვენებურებმა რუსეთის ჩემპიონატის მაჩანჩალა გუნდში სამჯერ ივარჯიშეს — ეს ამბავი გუშინ მეტრეველმაც დაგვიდასტურა:

— აბა, რა გითხართ. იაროსლავლში კარგად მიგვიღეს. აეროპორტში დაგვხვდნენ, დაგვაბინავეს, გუნდი გაგვაცნეს. მერე ერთად ვივარჯიშეთ. იმედი მოგვეცა, მაგრამ „შინიკის" მთავარ მწვრთნელს ჩვენთვის არც კარგი უთქვამს, არც ცუდი. ცოტა მოითმინეთ, თუ თქვენს მოწვევას გადავწყვეტთ, დაგიკავშირდებითო. გაურკვეველ სიტუაციაში აღმოვჩნდით, იაროსლავლიდან ასე გამოგვისტუმრეს. არ ვიცი, რა იქნება. ისე კი, ეტყობა, „შინიკს" ძალიან უჭირს ფინანსურად. იქაური პირობები არცაა სახარბიელო, მაგრამ თუ ამ გუნდში მოვხვდი, შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენ. ტრანსფერზე ყოფნამ ბევრი მასწავლა — თამაში მწყურია.

**იუზა ჭაღიტაძე ქუთაისიდან**

# კაიდარაშვილის მეორე გოლი

უკრაინის ჩემპიონატში მე-5 ტურის შეხვედრები ჩატარდა. ქართველების „ნივამ" სიმფეროპოლის „ტავრიას" უმასპინძლა. 37-ე წუთზე ანგარიში სტუმარმა ოსიპოვმა გახსნა. თითქმის წაგებული მატჩი ალეკო კაიდარაშვილმა გადაარჩინა. მისმა 86-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ნივას" ქულა მოაპოვებინა.

12 ივლისს დაწყებულ გათამაშებაში გორელმა კაიდარაშვილმა მეორედ შეძლო მეტოქეთა კარის დალაშქვრა. სეზონის პირველი ბურთი კი ალეკომ დონეცკის „მეტალურგს" გაუტანა. მე-3 ტურის ის მატჩი „ნივამ" 3:0 მოიგო.

რაც შეეხება გუნდის სატურნირო მდგომარეობას, ტერნოპოლელები მე-11 ადგილზე იმყოფებიან.

**ხვიჩა სანიკიძე**

# თემურ ქეცბაიას კონკურენტი დაშავდა

„ნიუკასლმა" ისევ წააგო. ამჯერად გულიტი უძლიერესი შემადგენლობით ეწვია გერმანიას და „ბოხუმთან" დამარცხდა. ინგლისური კლუბი ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: *ჰარპერი, შარვე, მარსელინო, გოძა, დობი, სოლანო, სპიდი, რობინსონი, შირერი, ქეცბაია, სერანტი.*

მატჩი საინტერესოდ წარიმართა. „ნიუკასლი" თავიდანვე უტევდა და პირველი გავიდა წინ. ტაიმის ბოლოს (39-ე წუთზე) შირერმა ანგარიში გახსნა. „ბოხუმს" გასაქვითად 3 წუთი დასჭირდა. პოლონელმა ჰენრიკ ბალიზნინსკიმ რენე მიულერის პასი გოლად აქცია.

მეორე ტაიმში მოვლენები პირველის ანალოგიურად განვითარდა. 65-ე წუთზე შირერმა კვლავ წინ გაიყვანა სტუმრები, 4 წუთი დასჭირდა ბალიზნინსკის რომ მეორედ გაექვითა — 2:2. გერმანელებმა გამარჯვების გოლი 73-ე წუთზე გაიტანეს. იგი შრეიბერის ანგარიშზეა.

74-ე წუთზე კი ქეცბაიას კონკურენტი, 20 წლის პოლ რობინსონი დაიმტვრა. მედია დიდი ხანია მსჯელობდა, ვინ სჯობდა, ვეტერანი ქეცბაია თუ ახალგაზრდა, უდრეკი რობინსონი. საკონტროლო შეხვედრებში თავი ორივემ გამოიჩინა. ქართველი კარგად თამაშობდა, რობინსონი კი შეცვლებზე შემოდიოდა და გოლებიც გაჰქონდა.

იქაური მედიის აზრით, ეს ტრავმა დიდი გარანტიაა ქეცბაიასთვის, რომ სეზონს ძირითადში გაატარებს.

**სიმონ მენაბდე**



რობინსონის დამტვრევით ქეცბაიამ ნიუკასლის ძირითადში ადგილი დაიჯავშნა

# აიაქსი ამსტერდამში შერცხვენას შოთამაც ვერ გადაარჩინა

„ამერიკის შემდეგ „აიაქსი" მშობლიურ ამსტერდამში შერცხვა. ვოუტერსის გუნდმა ქალაქს დიდი ზეიმი ჩაუშწარა, რომელიც „ამსტერდამის ტურნირთან" ერთად მოეწყო. ეს ტურნირი ადრე იაპონური კორპორაცია „სონის" თანადგომით იმართებოდა და დიდად პრესტიჟულიც გახლდათ. თუმცა წლეულს „აიაქსი" და „სონი" ფინანსურ მხარეზე ველარ შეთანხმდნენ და ტურნირსაც სახელი გადაერქვა. „ამსტერდამის ტურნირის" ავტორიტეტის შესანარჩუნებლად ქალაქის და კლუბის ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს, ორი დღის მანძილზე ამსტერდამი უზარმაზარ ცირკს ჰგავდა. საზეიმოდ მოეწყო „აიაქსის" ყოველწლიური კონკურსის — „მისს აიაქსის" გამარჯვებულის გამოვლენა, თუმცა ყველაფერი გუნდის წარუმატებლობამ დაჩრდილა.

ოთხთა ტურნირში მასპინძლებთან ერთად რომის „ლაციო", სან პაულოს „სანტოსი" და მადრიდის „ატლეტიკო" ჩაებნენ. შაბათს აიაქსი სანტოსს შეხვდა და 1:4 განადგურდა. მასპინძლები შემდეგი შემადგენლობით თამაშობდნენ: *გრიმი, ვან ჰელსტი, ვესლაატი, ვიჩგე, მახლარი (კნოპერი 46), ლაუდრუპი (ვამბერტო 46), გრონკიარი (რობსონი 74), არველაძე, პიქუე, მოკოენა, ვინტერი.*

ბრაზილიელებმა 50 წუთში სამი გოლი გაიტანეს (აილტონი 11, დოდო 13, 52). ამას შოთას გოლი მოჰყვა, რასაც ვალდირმა მეოთხე ბურთით უპასუხა — 1:4. იმდღესვე „ლაციომ" 3:1 სძლია „ატლეტიკოს" (1:0 კოუტუ, 1:1 პიქუე, 2:1 ლიქუე (ს.კ.), 3:1 — ინძაგი).

მეორე დღეს „ატლეტიკომ" „აიაქსის" მძლეველი „სანტოსი" შეიწირა. მატჩის ძირითადი დრო უგოლოდ გასრულდა პენალტებში კი მიშელმა ვერ ივარგა და ბოლო თერთმეტმეტრიანი ესპანელთა მეკარე რუბიოს ჩააბარა.

ამ შედეგის შემდეგ „აიაქსი" — „ლაციოს" ჯახი „ამსტერდამ არენაზე" ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრად გადაიქცა. სავსე ტრიბუნების თვალწინ რომაელებმა აშკარად დაჩაგრეს მასპინძლები: *გრიმი, ვან ჰელცი (დე კლერი 89), ვერლაატი, ვამბერტო, ვიჩგე, გრონკაიერი (რობსონი 78), კნოპერი, არველაძე (კულინა 78), პიქუე, ვინტერი, მოკოენა (კანუ 78).* ერიქსონმა „ლაციო" ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი (გოტარდი 55), ბოქშიჩი (კოუტუ 55), მიხაილოვიჩი, ვერონი, ლომბარდო, ნედველი, სტანკოვიჩი (სენსინი 46), ინძაგი (ანდერსონი 46).*

იტალიელებმა პირველ 20 წუთში დაახრჩეს ვოუტერსის შეგირდები. მე-15 წუთზე ბოქშიჩმა გაიტანა, 5 წუთში კი მიხაილოვიჩმა პენალტით აიღო გრიმის კარი. პირველ ტაიმში „აიაქსმა" ერთი გოლი გააზერხა, 39-ე წუთზე ტრიბუნები კნოპერმა დააიმედა — 1:2.

მეორე ტაიმში ინძაგის ნაცვლად შემოსულმა შვედმა ანდერსონმა მესამედ აიღო გრიმის კარი, თუმცა პირველი გოლის ავტორმა კნოპერმა 70-ე წუთზე კვლავ ერთ ბურთამდე დაიყვანა სხვაობა.

76-ე წუთზე კი შოთას მიეცა რეალური შანსი, გაექვითა ანგარიში. ქართველი ნეგროს და ფავალის გაექცა, მაგრამ მარკეჯანის კარს გადააცილა. ამით გაბრაზებულმა ვოუტერსმა არველაძე, გრონკიაერი და მოკოენა შეცვალა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და ამსტერდამის თასსაც რომაელები დაეუფლნენ.

„ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ" — ესღა თქვა თავის გასამართლებლად ვოუტერსმა.

**სიმონ მენაბდე**




1998 წლის 5 ივლისი. ლომელი. „შტედელიკ შტადიონი".
ინტერტოტოზე „ლომელ" — „ტორპედოს" პირველი მატჩის მოლოდინში

# ლომელმა ოთხით მესამედ გაგვამწარა

ოფიციალური საევროპო დებიუტი ქუთაისის „ტორპედომ" შარშანდელ ინტერტოტოზე სომხურ „ერებუნი-ომენმენთან" გამარჯვებით აღნიშნა. ტორპედოელებმა შინ „გივი კილაძეზე" 6:0 აჯობეს მეტოქეს. მერე „რაზდანზე" საპასუხო მატჩში ფრე 1:1 „გააგორეს" და ტურნირში ერთი ნაბიჯით წინ წაიწიეს. მომდევნო ეტაპზე „ტორპედო" ჩრდილო-აღმოსავლეთ ბელგიის, ლიმბურგის პროვინციის პატარა ქალაქ ლომელის ამავე სახელწოდების კლუბს გადაეყარა. ალბათ, გახსოვთ, ქუთაისელებს ჯერ სტუმრად „შტედელიკ შტადიონზე" მოუწიათ თამაში, სოსო ფრუიძის შეგირდებმა მაშინ მავან სკეპტიკოსს სალაპარაკო არ დაუტოვეს. „ტორპედო" ზაზა ვაჩიბერაძის მიერ გატანილი ბურთის წყალობით შინ გამარჯვებული დაბრუნდა. ჰოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ერთ კვირაში ეს გამარჯვება ასე გაუფასურდებოდა. „ტორპედო" — „ლომელის" დრამატულობით აღსავსე საპასუხო თამაშს რაც მოჰყვა, იცით. მასპინძლებმა დასანანი მარცხი (1:2) განიცადეს, რითაც მომდევნო წრეში გერმანულ „ვერდერთან" გაპაექრების შანსი გაუშვეს ხელიდან. ისე, ამ ზამთარს „ლომელმა" ამხანაგურ მატჩში მარადი ჩემპიონიც დაგვიჩაგრა, „დინამოს" 3:0 მოუგო.

რისთვის გავიხსენეთ „ლომელი"? იმისთვის, რომ სამი დღის წინ „ტორპედოს" ერთხელაც ხვდა ამ გუნდთან შეხვედრის „ბედნიერება". როგორც იცით, ქუთაისელები ახლა ჰოლანდიაში იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე და დროგამოშვებით საკონტროლო თამაშებსაც მართავენ. ორ ასეთზე უკვე გიამბეთ კიდევაც. „ტორპედო" ჯერ ბელგიის თასის მფლობელს „ლიერსს" დაუზავდა — 1:1, მერე ისრაელის უმაღლესლიგელ რიშონის „ირონს" შეხვდა და 3:2 სძლია. აი, მესამე საკონტროლო კი „ტორპედოს" 31 ივლისს ძველ ნაცნობ „ლომელთან" ჰქონდა. ამათი ლომელური მატჩი შარშან შუაევროპული დროით 17 საათზე დაიწყო, ჰოდა, ჩვენც პირველად დაახლოებით ამ დროისათვის დავრეკეთ „შტედელიკ შტადიონზე".

— პიტერ გასტონსი გახლავართ, „ლომელის" მენეჯერი. რით გემსახუროთ?

გასტონსი?! ეს ხომ ის კაცია, ქუთაისში მთელი თამაშის განმავლობაში რომ თვლემდა (რა ენაღვლებოდა?!) და მხოლოდ საფინალო სასტვენმა გამოაფხიზლა, გავიფიქრე...

**— თუ შეიძლება, „ტორპედოს" წარმომადგენელი დაგვალაპარაკეთ.**

— ნაადრევად მოგივიდათ დარეკვა. ჩვენთან ძალიან ცხელა და თამაში 20 საათზეა დანიშნული. ხელოვნურ განათებას ჩავრთავთ. ისე, „ტორპედო" ლომელშია, სასტუმროში ისვენებს. თქვენები სტადიონზე სადღაც საათნახევარში გამოცხადდებიან.

„ლომელის" მენეჯერს კი მოვუბოდიშეთ, მაგრამ ორი საათის შემდეგ კვლავაც შევაწუხეთ. ამჯერად უფრო გაგვიმართლა. გასტონსმა იმ წუთშივე „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს გადასცა ყურმილი.

— ყველაფერი რიგზეა, გესაუბრებით კიდევაც, ოღონდ თამაშის შემდეგ — დაგვამშვიდა და დაგვაიმედა ტორპედოელთა თავკაცმა.

თამაშის შემდეგაც დავრეკეთ ლომელში. ვფიქრობდით, ყიფიანი გაგვაგონებდა, მაგრამ მის ნაცვლად გელა კიკალეიშვილმა (ყიფიანის ერთერთმა თანაშემწემ) გვიპასუხა:

— საზიზღარი თამაში იყო, მსაჯმაც არ გაგვახარა. ადგილობრივი იყო და აშკარად ემხრობოდა თავისიანებს. 25-ე წუთზე სრულიად უსაფუძვლოდ გაგვიგდო მახვილაძე. მიხომ სუფთად აართვა ბურთი ბელგიელ თავდამსხმელს, მსაჯმა კი მას ყვითელი ბარათი უჩვენა. იგი მანამდეც იყო გაფრთხილებული და ამიტომ მოედანზე ათი კაცით დავრჩით. ამის მიუხედავად, პირველ ტაიმში თამაში თანაბარი იყო, ბურთი ბოლო წუთზე გავუშვით.

შესვენების შემდეგ ბელგიელებმა უფრო მოინდომეს. 68-ე, 72-ე და 84-ე წუთებზე კიდევ სამი ბურთი მივიღეთ და საბოლოოდ 0:4 წავაგეთ. მარცხს არ ვამართლებ, მაგრამ იმის გარდა, რომ „ტორპედო" კაცნაკლული თამაშობდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მცირე ტრავმების გამო თურმანიძე, ხვადაგიანი და ჩხეტიანი ვერ დავაყენეთ. მსაჯს რომ არ დავეჩაგრეთ, შეიძლება არც წაგვეგო. გატანის შანსი ჩვენც გვქონდა.

**— „ტორპედომ" როგორი შემადგენლობით ითამაშა?**

— *ჭანტურია, შეყრილაძე, ვ. მაისურაძე, მახვილაძე, მაღლაკელიძე (ამისულაშვილი), ახვლედიანი (მეგრელაძე), კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, იონანიძე (იმედაძე), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (ბობოხიძე).* ოთხივე შეცვლა მეორე ტაიმში გაკეთდა.

**— წინა ორ საკონტროლო მატჩზე რას იტყვით?**

— „ლიერსთან" და „ირონთან" კარგად ვითამაშეთ. ორივე მატჩში უპირატესობას ვფლობდით. ბიჭებით კმაყოფილნი დავრჩით.

**— შეკრება ნორმალურად მიდის?**

— ნორმალურად. საუცხოო პირობებია

**— „როდასთან" და „ზენიტთან" აპირებდით თამაშს, მგონი, სიტუაცია შეიცვალა...**

— დაზუსტებით ვერ გეტყვით. „ზენიტი" ჯერ არ ჩამოსულა შეკრებაზე, ვერც „როდაზე" მოგახსენებთ რამეს. სამაგიეროდ დავით ყიფიანმა 2 აგვისტოსთვის ბელგიური „ეკერენი" დაიყაბულა სათამაშოდ. ძლიერი გუნდია, ჩვენც ვეცდებით ღირსეულად შევებრძოლოთ.

**— ჩვენი ბიჭებით მანდ ხომ არავინ დაინტერესებულა?**

— მაგ კითხვაზე პასუხი მოგვიანებით გაიცემა. ახლა კი ბოდიშს მოვითხოვ, ყიფიანი მაჩქარებს.

**— მაშ, ხეირო...**

**იუზა ჭაციტაძე ქუთაისიდან**
**ავტორის ფოტო**

# ლანტანა უეფას ეურჩება?

დროებით შეჩერებული ესტონეთის ჩემპიონატი ამ უქმეებზე სენსაციით განახლდა. ამ ბალტიისპირა ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა — ორნიშნა ანგარიში დაფიქსირდა. მესამეადგილოსანმა ვილიანდის „ტულევიკმა" აუტსაიდერი „იოჰვი" 14:0 გაანადგურა. ამ საშინელი შედეგის მიზეზზეც მოკლედ მოგახსენებთ.

შაბათის „სარბიელში" ვწერდით, „ლანტანა" მეორე წრეს განახევრებული, 7 ქულით იწყებსო, მაგრამ ესტონური ფეხბურთის მესვეურებს თავდაპირველ განზრახვაზე ხელი აუღიათ. თავდაპირველად კი მათ განზრახული ჰქონდათ, საპირველეტაპო ორი წრის შემდეგ პირველი ექვსეულის ორი ნაბოლარასთვის მოწყვეტა, ქულების განახევრება და ჩემპიონობისთვის ცალკე და ლიგაში დასარჩენად ბრძოლის ცალკე გამართვა, მაგრამ კლუბთა ფინანსური პრობლემების გამო ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

ჩემპიონატი როგორც დაიწყო, იმავე სისტემით გაგრძელდება და ოთხ წრედ ჩაივლის. თუმცა ფინანსური კრიზისის პირველი შედეგი თვალსაჩინოა — 14:0.

უეფას თასის შესარჩევ წრეში ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქე „ლანტანამ" კი კვირას ისევ ფრედ ითამაშა — ამჯერად საკუთარ მოედანზე „ვმკ ტალინს" უგოლოდ დაუზავდა.

ლანტანელებმა ცუდად ითამაშეს, განსაკუთრებით თავდამსხმელები ზარმაცობდნენ, მათ შორის ტალინელთა მთავარი დამრტყმელი ძალა ვიტალი ლეიტანიც, რომელიც გერმანული რეგიონალლიგის „ლაიპციგიდან" ორკვირიანი უშედეგო გასინჯვების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს.

აქტიური იყო გამთამაშებელი ვადიმ დოლინინი, თუმცა ოთხჯერ ააცილა კარს ხელსაყრელი პოზიციიდან. კარგად ითამაშა საყრდენმა ანდრეი მიტიუნოვმა. და მაინც ესტონურმა პრესამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მარცხენა მცველი ოლეგ კოლოცეი მიიჩნია, რომელიც ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

0:0 — ეს „ლანტანას" მეექვსე წაუგებელი მატჩი და ბოლო ოთხიდან მეოთხე ფრე გახლდათ. ტალინელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *კისელიოვი; კალიმულინი, კულაკოვი, კოლოცეი; მიტიუნოვი, ბელოვი, გორიაჩოვი, დოლინინი, ვორონინი; ლეიტანი, მირსკი (მარჩენკო 82).*

„ლანტანას" შემადგენლობაში ისევ არ უთამაშია მოსკოვური ცსკა-დან დაბრუნებულ ანდრეი კრასნოპიოროვს. როგორც გაირკვა, ეს მცველი ქუთაისის „ტორპედოს" ვერ დაუპირისპირდება და მწვრთნელი ანატოლი ბელოვიც ბოლო მატჩებს უმისოდ ატარებს. კრასნოპიოროვი ცსკა-ს ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეუყვანია, „ლანტანას" კი იქიდან ამორიცხვა და სათავისოდ გაფორმება ველარ მოუსწრია და დაცვის ბურჯს „ტორპედოსთან" სწორედ ამიტომ მოისაკლისებს.

ტალინელებმა უკვე დაბეჭდეს 12 აგვისტოს მატჩის აფიშები, სადაც „ლანტანა" — „ტორპედოს" დასაწყისად თბილისის დროით 20 საათია მითითებული. თუმცა, რაკი იმავე დღეს ესტონეთის ტელევიზია ვალგადან „ტულევიკ" — „ბრიუგეს" პირდაპირ ტელერეპორტაჟს ჩვენი დროით 21 საათიდან გეგმავს, ჩვენებურებს, ალბათ, ერთი საათით ადრე მოუწევთ თამაშის დაწყება. ასეთი დამთხვევა ერთი ქვეყნის გუნდების მატჩებისას უეფას რეგლამენტით დაუშვებელია. ესტონეთის ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხის თაობაზე დუმს. გამოდის, „ლანტანამ" მასთან შეუთანხმებლად დათქვა თამაშის დრო. ისე, ამასწინათ რომ ვაქეთ ესტონური ფედერაცია უაღრესი პედანტობისთვის (ერთ-ერთ ფეხბურთელს ორი წლის წინანდელი სასჯელის მოუხდელობა ახლა გაუხსენა), სულ ტყუილად, ისიც დიდი ბედოვლათი ყოფილა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# გოგიჩაიშვილი ხურცილავას ამალაში
## ხუჯაძის ბედს კარნევალე გადაწყვეტს

თბილისის „დინამომ" კიშინიოვის „ზიმბრუსთან" მატჩის წინ უეფას 21 ფეხბურთელის სია გაუგზავნა. ისინი 28 კანდიდატისგან შეარჩია. კახა გოგიჩაიშვილის გვარი არც ერთ ჩამონათვალში არ ეწერა.

დინამოელი აღარ ვარ — გვითხრა მაშინ გოგიჩამ... მიზეზზე, ცხადია, დავეკითხეთ, მაგრამ კახამ ამის თაობაზე საუბარი არ ისურვა, ეს კი თქვა, გუნდიდან ჩემით წავედიო.

გოგიჩაიშვილი დიდხანს არ ყოფილა უსაქმოდ. ფეხბურთელს „ლოკომოტივი" დაუკავშირდა და ისიც ყვავილნარში შეკრებაზე მყოფ რკინიგზელებს შეუერთდა. რამდენიმე დღეში გოგიჩაიშვილის „სალოკომოტივო" დებიუტიც შედგა. შაბათს ხურცილავას შეგირდები ბათუმს ესტუმრნენ და მორიგ საკონტროლო შეხვედრაში 3:1 დაამარცხეს მასპინძლები.

სტუმართაგან ანგარიში „არსენალიდან" წლეულს შემატებულმა ვახტანგ გველესიანმა გახსნა. ბათუმელმა მაჭუტაძემ წონასწორობა აღადგინა. მერე გოგიჩაიშვილის ჯერი დადგა. კახამ ორი უპასუხო ბურთი გაუტანა ზღვისპირელებს და წარმატებულ დებიუტთან ერთად საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

სამატჩო ამბები „ბათუმის" ტექნიკურმა დირექტორმა მევლუდ ცინარიძემ გვამცნო და ერთი სიახლეც გაგვანდო:

კლუბს 4 აგვისტოს შალვა ხუჯაძე ეწვევა. როგორც იცით, ეს ფეხბურთელი თვეზე მეტ ხანს ქუთაისის „ტორპედოში" ვარჯიშობდა. ხუჯაძემ რამდენიმე საკონტროლო მატჩიც გამართა დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით. თუმცა მისი კლუბში აყვანა არ მოხერხდა. შალვას უკრაინულ „ნივასთან" კონტრაქტი აკავშირებს და ტერნოპოლელებმა საკმაოდ სოლიდური თანხა მოსთხოვეს „ტორპედოს" ხუჯაძის განათხოვრებაში. ქუთაისელებმა უარი შეუთვალეს უკრაინელებს და შალვა იძულებული გახდა, ახალი კლუბის ძებნა დაეწყო. ამ მიზნით იგი ვლადიკავკაზურ „ალანიასაც" ესტუმრა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო უკან მალევე გამობრუნდა.

შინდაბრუნებულ ხუჯაძეს „ბათუმი" შეეხმიანა და ფეხბურთელსაც ბევრი არ უყოყმანია. როგორც მევლუდ ცინარიძემ გვითხრა, ტერნოპოლის „ნივასთან" მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და შალვას ნება დართეს, ერთი წელი „ბათუმში" გაატაროს. თუმცა ტრანსფერი მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, თუ მათი იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალე თანახმა იქნება.

— 6 აგვისტოს სეზონისწინა ბოლო საკონტროლო შეხვედრა გვაქვს ფოთში. ხუჯაძეს „კოლხეთის" წინააღმდეგ ვათამაშებთ. თუ მისი მოქმედებით კარნევალე კმაყოფილი დარჩება, მაშინ არანაირი პრობლემა არ იქნება. შალვა ჩვენი გუნდის წევრი გახდება.

ფოთში გასამართ მატჩს სხვა დატვირთვაც აქვს. სწორედ ამ პაექრობის შემდეგ გაირკვევა იმათი ვინაობა, ვინც მეთერმეტე ეროვნულში „ბათუმის" ღირსებას დაიცავს. კარნევალემ 23 ფეხბურთელი უნდა შეარჩიოს — დასძინა ცინარიძემ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ბრაზილიას რუსეთში დავეწიეთ

რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე ქართველების შესახებ არაერთხელ გაუწყეთ. პირველი წრის მონაცემებით გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" ლეგიონერთა სიმბოლურ ნაკრებში ორი ჩვენებური შეიყვანა — მიხეილ ჯიშკარიანი და ზვიად ჯელაძე. საუკეთესოთა შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი (3) ბრაზილიას ჰყავდა. ბომბარდირთა დავაშიც ბრაზილიელი ანდრადინა ლიდერობდა. იგი ერთი გატანილით უსწრებდა ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველ გოლეადორ ვასილ სეფაშვილს. ჯიშკარიანი კი მეხუთე საფეხურზე მკვიდრობდა.

სეზონის განახლება ჩვენებურთა აქტივობით აღინიშნა. 23-ე ტურში სეფაშვილმა ნალჩიკში ნასტუმრევ „ლადა-სიმბირკს" გაუტანა და ტულის არსენალელ ანდრადინას წამოეწია. ორივე ფეხბურთელს 13-13 გოლი აქვთ ანგარიშზე. თუმცა ბრაზილიელმა სამი თერთმეტმეტრიანი გამოიყენა. სეფაშვილმა კი მხოლოდ ერთი პენალტი გარდასახა გოლად და ბომბარდირთა მარათონშიც პირველ საფეხურზე აინაცვლა.

22-ე ტურში მიხეილ ჯიშკარიანმაც გამოიჩინა თავი და ახლა 10 გატანილით მეოთხე ადგილზე იმყოფება.

რაც შეეხება გუნდების სატურნირო მდგომარეობას, სეფაშვილის „სპარტაკი" ჯერჯერობით მეათეა, ჯიშკარიანის, ზვიად და გიზო ჯელაძეების სარატოვის „სოკოლი" კი კვლავ ლიდერთა სამეულშია.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ფერო პლუს ლუდს უდრის მეტალურგს

*ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები, ისინი, ვინც საბჭოურ პერიოდში საქართველოს პირველობასაც ადევნებდნენ თვალს, უთუოდ გაიხსენებენ ზესტაფონის „მეტალურგს“. მართალია, ეს გუნდი მაშინ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ დრო და დრო მაინც ახარებდა ქომაგთ. ასე, 1967, 1970 და 1982 წლების გათამაშებებში. „მეტალურგი“ მძლავრი საწარმოს — ფეროშენადნობთა ქარხნის საკუთრება ამ წლებში მეორე გახლდათ. სტაროსელსკის ქუჩის თავში მდებარე ქალაქში ერთადერთი და, არც თუ ურიგო სტადიონი 1953 წელს, როგორც ამბობენ, ამ საწარმოს ხარჯებით აშენდა. მისსავე ხარჯებით ჩაუტარდა სტადიონს პირველი რეკონსტრუქციაც (1970 წელს).*

*ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება რომ შეიცვალა და ქართული ფეხბურთიც დამოუკიდებლობის გზას დაადგა, „მეტალურგმა“ სწორედ მაშინ შეწყვიტა არსებობა. 1990 წელს ზესტაფონში საფეხბურთო კლუბი „მარგვეთი“ ჩამოყალიბდა. „მარგვეთი“ იმ წელსვე მეორედან პირველ ჯგუფში ალზევდა და რვა სეზონი აქვე ბინადრობდა. 1996 წელს გუნდმა ჩემპიონატის ვერცხლს გამოჰკრა ხელი და უეფაზეც კი ითამაშა. მერე და მერე წახდა მარგველთა საქმე. იქამდეც კი, რომ შარშან ისინი პირველ ჯგუფს გამოემშვიდობნენ. მაგრამ „მარგვეთს“ პრეზიდენტად ვასილ ხაჭაპურიძე რომ დაუბრუნდა, გუნდს იმედი მიეცა, ბოლო გათამაშებაში უძლიერესთა რიგებში გარევა სცადა, მაგრამ, მოგეხსენებათ, „სულორმა“ არ აცალა. ბოლოს ვერც ვანელებმა იხეირეს, თუმც ეს სულ სხვა თემაა...*

*ზესტაფონში „მეტალურგის“ აღორძინება განუზრახავთ. განუზრახავთ კი არა, ასეთი კლუბი უკვე არსებობს და საორგანიზაციო საკითხებიც მოგვარებული ყოფილა. „მეტალურგის“ მთავარ მწვრთნელს ზაურ ჩუბინიძეს ამასწინათ ქუთაისში სალორიის ბაზაზე ერთ-ერთი საწვრთნელი თამაშისას შევხვდით და ჯერ აქ სტუმრობის მიზეზი ვკითხეთ.*

— ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვარჩევ „მეტალურგისთვის“. ქუთაისში მრავლად არიან პერსპექტიული მოთამაშეები და იქნებ ჩვენც გვერგოს ვინმე.

**— თქვენ ბევრი გიმუშავიათ „მარგვეთში“, ახლა „მეტალურგს“ უთავკაცებთ...**

— „მარგვეთი“ ერთია და „მეტალურგი“ მეორე. ჩვენ ხელს არავის შევუშლით, ცალკე კლუბი ვართ. მასზე უმთავრესად ფეროშენადნობთა ქარხანა იზრუნებს, ამასთან პრეზიდენტი, „თბილლუდის“ დირექტორი ნუგზარ მდივანი დაგვეხმარება. გუნდის უფროსი გია ლიბრაძეა, მეორე მწვრთნელი — ზურაბ ბოჭორიშვილი.

ადგილობრივი, ზესტაფონის სპორტსკოლიდან ავიყვანეთ ბიჭები, ორი კვირაა ვვარჯიშობთ. ხელმძღვანელობა ყოველმხრივ თანადგომას გვპირდება და ჩვენც ეს გვინდა, გვსურს ერთ ნორმალურ გუნდად ჩამოვყალიბდეთ.

**— ზესტაფონმა ერთი გუნდი ვერ შეინახა და ორს როგორღა მოუვლის?**

— იცით რა, ჩვენ ნამდვილად გვეყოლება პატრონი, სხვისი კი არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ერთი კია, „მარგვეთს“ ხელს არ შევუშლით.

**— კი, მაგრამ, „მარგვეთის“ რამდენიმე მოთამაშე უკვე წამოსულია თქვენთან?**

— „მარგვეთიდან“ თუ ვინმე საკუთარი სურვილით მოვა ჩვენთან, თანაც ისეთი, რომ გამოგვადგება, მივიღებთ. ძალას კი არავის ვატანთ. ილია მალალურაძემ, გოჩა ქურციკიძემ, დათო მინაშვილმა, დათო მხეიძემ, გია ფანცხავამ და შოთა გოგაძემ თავად მოგვაკითხეს.

**— მარგველები ჩივიან, სტადიონზე უფულოდ აღარ შეგვიშვებენო...**

— ზესტაფონის სტადიონი ფეროშენადნობთა ქარხნისაა და რაა გასაკვირი, თუ სტადიონის იჯარაში გარკვეული თანხა მოითხოვოს. „მეტალურგის“ პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა გვითხრა, ახალი სეზონის დაწყებამდე სტადიონს შეკეთებით სამუშაოებს ჩავუტარებთ.

**— თქვენ ამბობთ, სტადიონი ფეროსიაო. 1996 წელს, „მარგვეთი“ რომ უეფაზე გავიდა, სტადიონის რეკონსტრუქციის ხარჯებში ფეროს წილი, რამდენადაც ვიცი, უმნიშვნელო იყო. მაშინ რაიონის ბიუჯეტმა უფრო იზარალა და შემოწირულობებიც იყო...**

— ეს საკითხი ჩემს კომპეტენციაში არ შედის, იმას კი გეტყვით, რომ ვალი, მგონი 50 ათასი ლარის ფარგლებშია, გასტუმრებული იქნება.

**— ესე იგი „მეტალურგი“ ვარჯიშობს...**

— ჯერ ადგილზე გავდივართ წვრთნას. 5 აგვისტოდან კი ბაკურიანში გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე. გვინდა გუნდი მანამდე დავაკომპლექტოთ.

**— და რა ამოცანას ისახავთ ახალ სეზონში?**

— შევეცდებით ისე ვითამაშოთ, რომ საგაისოდ მეორე ჯგუფში დავიბევოთ ადგილი. ცოტა რთული იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ. პერსპექტივაში კი პირველ ჯგუფში გვინდა თამაში.

გუშინ „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ზუსტაფონის „მარგვეთმა“ შესაძლოა თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე ითამაშოს. ეს მარგვეთელთა ვიცე პრეზიდენტმა თემურ ნიქაბაძემ გვითხრა.

**იუზა ქაციტაძე**
**ქუთაისიდან**



ზაურ ჩუბინიძე

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი) მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე (?) | ს. გოგაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ქიჟვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ხიზანიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია), დონდეტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ბათიაშვილი, ქემოკლიძე, გ. მიქაძე, ო. გველესიანი, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰეერენვენი (ჰოლანდია) 1:0:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტურმ გრაცი (ჰოლანდია) 2:1, კოლმარონი (მონტენეგრო) 2:2, ჰოფენჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქიიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, კოლხეთი 2:1, 2:0, ბათუმი 3:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაშიმიატოვა), ქიჟვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაჭაცარია, ყულევჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაშიმიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია, თ. გიორგაძე (სამგურალი-2), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისაიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), კ. ნიკლაური, ძნელაძე (იბერია), დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | დ. ჩიგოშვილი (ლარნყალი), ფოფხაძე (ივერია), დათვაძე (ლარნყალი) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისაიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი), ბათიაშვილი ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ლ. ბერიშვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლოგრსი (ბელგია) 1:1, როონ (რომინი, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2, 0:2, იბერია 3:0, 3:1 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე, დ. ჭელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაშიმიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3 |
| **იბერია** *ხოხო ფრუიძე* | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე, გ. დოლიძე, ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე (ფაზისი), ცვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური, ძნელაძე (სიონი), შველიძე (არ თამაშობდა) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), რ. ახალკაცი (?, ვარნა, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | | | მეგრი 2:4, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**



REUTERS ფოტოები

მექსიკა — აშშ 1:0. ფრენკი ჰეიდუკი სალვადორ კარმონას ფეხებში ჩავარდნია

**Mexico'99**
FIFA CONFEDERATION CUP
24 July to 4 August, 1999

# კვაუჰტემოკ ბლანკოს საოცნებო გოლამდე

კვაუჰტემოკ ბლანკომ, მექსიკელთა თავდამსხმელმა ნახევარფინალში შეგდებულ ბურთზე თქვა, ამაზე მნიშვნელოვანი გოლი კარიერაში არ გამიტანიაო. საინტერესოა.

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ჩემი ოცნების გოლი არ ყოფილა, მას ფინალში გავიტან — განაცხადა მექსიკელმა.

კონფედერაციათა თასის გათამაშების მასპინძელი მექსიკა ფინალში ამერიკელთა ძლევის შემდეგ გავიდა. ჩრდილო და სამხრეთამერიკული გუნდების პაექრობა თვალსასეირო, ძალიან დაძაბული გამოდგა — ამაზე მატჩის ხანგრძლივობაც მეტყველებს.

ძირითადი დროის შემდეგ დამატებითი იყო, შეხვედრას წერტილი კი, როგორც ვთქვით, თავისი უმნიშვნელოვანესი და თანაც „ოქროს გოლით“ კვაუჰტემოკ ბლანკომ დაუსვა.

ერთი სიტყვით, მექსიკა ფინალშია, იქ კი კვაუჰტემოკ ბლანკოს საოცნებო გოლს უნდა ველოდოთ. ფინალში მექსიკა ბრაზილიას, კონფედერაციათა თასის წინა გათამაშების გამარჯვებულს შეხვდება.

ის, რაც ბრაზილიამ, საუდეთს დამართა (სწორედ რომ დამართა) ძნელია სიტყვებით რომ გამოხატო. 2:2-ის შემდეგ, როცა საუდელებს მიუწვდომელი ოცნების ასრულების იმედი გაუჩნდათ, ბრაზილიელებმა დაიწყეს, მაგრამ რა დაიწყეს. ამას კი ალ დეიას კარში ექვსი გოლი მოჰყვა. საბოლოოდ 8:2. ანგარიშიც ამას ჰქვია.

ტყუილად არ ვამბობდით, საუდეთი უცნაური გუნდიაო. ადგება და ერთ დღეს აფრიკის ჩემპიონ ეგვიპტეს, საკმაოდ კარგ გუნდს 5:1 დაამხობს, მერე კი ბრაზილიასთან 2:8-ს წააგებს.

ეტყობა, საუდელებს წარმოდგენა არ აქვთ ტაქტიკა-სტრატეგიაზე, ანაც პატარა საფეხბურთო ეშმაკობებზე. აბა, რომელი მძლეთამძლე საუდეთია, ბრაზილიასთან ღია თამაშს რომ აჩაღებს? დაცვა საუდელებს არ ჰყავდათ და გუნდი წინ რომ გადიოდა, დიდას კარს ლამის მეკარიანად ესხმოდნენ თავს არაბები. შედეგად რვა გოლი მიიღეს, სწორედ იმდენი, რამდენიც ბრაზილიას წინა სამ შეხვედრაში ერთად არ გაეტანა.

ბომბარდირთა საერთო ჩათვლაში ექვსი გოლი დაუგროვდა ბრაზილიელ რონალდინიოს — არაბებთან მატჩში ყმაწვილკაცმა ჰეთ თრიკი შეასრულა, თანაც იგი ერთადერთია, რომელმაც კონფედერაციის თასის გათამაშებაში ოთხ შეხვედრაში ითამაშა და ოთხჯერვე მოახერხა გოლის გატანა. ისე რონალდინიოს კოჭებზევე ეტყობა, რომ უფროსი რონალდოს დარად, ნიჭიერი ფეხბურთელია. გავა რამდენიმე წელიწადი (შესაძლოა თვეც) და რონალდინიო, ალბათ, რომელიმე ევროპულ კლუბში გადავა, მერე კი, იცოცხლეთ, დაიწყება თავდავიწყება.

ძალიან გაგვიჭირდება „აცტეკაზეო“, უთქვამს ბრაზილიელთა მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს. მექსიკასთან მეხიკოში, თანაც გადაჭედილ „აცტეკაზე“ თამაში მართლაც რთულია, მაგრამ ბრაზილია რის ბრაზილია იქნება, ასეთი ამბების ეშინოდეს. ისე, მგონია, რომ ფინალში მექსიკელებს უფრო გაუჭირდებათ, ვიდრე ბრაზილიელებს — მექსიკამ უნდა დაამტკიცოს, რომ ბრაზილიაზე ძლიერია, ლუქსემბურგოს ბიჭებს კი დასამტკიცებელი არაფერი აქვთ. თანაც ახალდასრულებულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში ბრაზილიამ მექსიკა ორჯერ დაამარცხა...

სხვათა შორის, 1994 წლიდან მოყოლებული, როცა ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იტალიას მოუგო, სამხრეთამერიკელები ყველა იმ გათამაშების ფინალამდე აღწევდნენ, რომელშიც მონაწილეობდნენ. ბრაზილია 1995, 1997 წლების და წლევანდელ „კოპა ამერიკას“ ფინალში თამაშობდა, 1997 წელს კონფედერაციათა თასიც მოიგო და ახლაც ფინალშია, შარშან კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც ითამაშა.

იმ გუნდიდან, რომელმაც ორი წლის წინ საუდეთში კონფედერაციათა თასი მოიგო, ბრაზილიელთა შორის დღეს დიდაც თამაშობს. სხვათა შორის, საუდელებთან ნახევარფინალამდე მას კონფედერაციათა თასის გათამაშებაზე 503 წუთის მანძილზე გოლი არ გაუშვია. ცოტა კიდევ რომ შეენახა კარი ხელუხლებლად, ფიფას ეგიდით ჩატარებული შეჯიბრებების რეკორდსაც დაამყარებდა. ჯერჯერობით რეკორდსმენად იტალიელი ვალტერ ძენგა რჩება, რომელმაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 517 წუთი გოლი არ გაუშვა.

ამერიკელთა კარში გატანილმა ოქროს გოლმა კვაუჰტემოკ ბლანკო კონფედერაციათა თასის გათამაშებების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად აქცია.

...ფინალში ბლანკო საოცნებო გოლს ელის.

**ლაშა გოდუაძე**

## B ჯგუფი

### აშშ 2:0 გერმანია

1:0 ოლსენი (23), 2:0 მური (60)

აშშ: ფრიდელი, ჰეიდუკი, ბრაუნი, ლუისი, მური (კიროვსკი 82), ბრავო (მაკბრაიდი 77), აგუსი, მაკეონი, უილიამსი, ბალბოა, ოლსენი (სტიუარტი 65)

გერმანია: ლემანი, ვიორნსი, პაინრიხი (დოგანი 41), ლინკე, ვოში, მათეუსი, პრეეცი, ნოივილი, შნაიდერი, გერბერი (მოლი 76), ჰელდტი (რინკი 60)

გაფრთხილება: ოლსენი (33), ჰეიდუკი (39), აგუსი (45), გერბერი (60), ვიორნსი (75), მათეუსი (81), რინკი (92)

მსაჯი: ხილბერტო ალკალა (მექსიკა)

### ახალი ზელანდია 0:2 ბრაზილია

0:1 მარკოს პაულო (45), 0:2 რონალდინიო (88)

ახალი ზელანდია: უტინგი, ზორიჩიჩი, დუგლასი, ბანსი (ვისელიჩი 82), ბარტონი, ლაინსი, ჯექსონი (პერი 85), ნგატა (კოვენი 66), ატკინსონი, ბუკენჰუგი, ნელსენი

ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ფლავიო კონსეისაო, კრისტიანი (რონალდინიო 64), ალექსი, სესარი, ლუის ალბერტო, მარკოს პაულო (რონი 56), ატირსონი, ბეტო, ვარლეი

გაფრთხილება: ჯექსონი (27), ნელსენი (81)

მსაჯი: კიმ იონგ იო (კორეა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## ნახევარფინალები

### მექსიკა 1:0 აშშ

1:0 ბლანკო (97)

მექსიკა: კამპოსი, სუარესი, მარკესი, ტორადო, ვილია, რამირესი (არელიანო 72), აბუნდისი, ბლანკო, პარდო, ტერასასი (პალენსია 46), კარმონა

აშშ: კელერი, ჰეიდუკი, ბერჰალტერი, ფრეიზერი, პარკსი, სტიუარტი, კიროვსკი, აგუსი, ჯონსი, უილიამსი, მაკბრაიდი (ლუისი 78)

გაფრთხილება: პარკსი (41), ბლანკო (57), ფრეიზერი (60)

მსაჯი: კიმ იონგ იო (კორეა)

### ბრაზილია 8:2 საუდეთი

1:0 ჟოაო კარლოსი (8), 2:0 რონალდინიო (11), 2:1, 2:2 ალ ოტაიბი (22, 31), 3:2 ზე რობერტო (33), 4:2 ალექსი (36), 5:2 რონი (62), 6:2 რონალდინიო (65), 7:2 ალექსი (86), 8:2 რონალდინიო (90)

ბრაზილია: დიდა, ევანილსონი (ფლავიო კონსეისაო 16), ოდვანი, ჟოაო კარლოსი, სერჟინიო, რონალდინიო, ემერსონი (ბეტო 72), კრისტიანი (რონი 46), ალექსი, ზე რობერტო, ვამპეტა

საუდეთი: ალ დეია, ალ ხილაივი, ზუბრომავი (ჰვსავი 64), ალ დაუდი, ალ ჰარბი, ი. ალ შაჰრანი (ალ ჯაჰანი 43), ალ ოტაიბი, სულიმანი, ალ სუბაიე, ალ ტემიატი, ჰარტი

გაფრთხილება: ვამპეტა (37), ი. ალ შაჰრანი (39), ალ ოტაიბი (55), რონი (68), ჰვსავი (69), ალ სუბაიე (81)

მსაჯი: ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია)

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონალდინიო (ბრაზილია) | 6 |
| ალ ოტაიბი (საუდეთი) | 6 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ფინეთის** ჩემპიონატის მე-18 ტურის შედეგები: ჰელსინკი — ჯაზი 4:1, ინტერი — კოტკა 0:0, მიუპა — ჰაკა 1:2, ტამპერე — როპსი 0:2. ჩემპიონატს თვრამეტი თამაშიდან 43 ქულით „ჰაკა“ ლიდერობს. ცხრამეტი თამაშიდან 38 ქულით მეორეზეა „ჰელსინკი“, ხოლო თვრამეტ-თვრამეტ თამაშში დაგროვილი 27-27 ქულით მესამე ადგილზე ერთბაშად სამი კლუბია — „ჯაზი“, „ინტერი“ და „მიუპა“.

**სლოვენიის** ჩემპიონატის პირველი ტური ასე დასრულდა: დომჟალე — მარიბორი 1:4, ველენჯე — დრავოგრადი 2:0, აიდოვშინა — მურსკა სობოტა 1:0, პრევალიე — სელიე 1:1, რუსე — ოლიმპია 0:3, ბელტინჩი — ნოვა გორიცა 0:0.

**დანიის** ჩემპიონატის მეორე ტური: ვეილე — ბრონდბიუ 0:4, ორჰუსი — ჰერფოლგე 1:1, ოდენსე — AB (კოპენჰაგენი) 0:3, ლუნგბიუ — ესბიერგი 5:1, სილკებორგი — კოპენჰაგენი 0:0.

**ჩეხეთის** ჩემპიონატის პირველი ტური: ჩეშსკე ბუდეოვიცე — დრნოვიცე 2:0, ბობი — სიგმა 1:0, ბოჰემიანსი — სლავია 0:1, ჰრადეც კრალოვე — ლიბერეცი 1:3, ტეპლიცე — ოპავა 1:1, იაბლონეცი — დუკლა 0:2, სპარტა — ჟიჟკოვი 2:1.

**სლოვაკეთის** ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები შემდეგნაირად დასრულდა: კოშიცე — ტატრანი (პრეშოვი) 3:0, ჟმენი — დუბნიცა 0:1, ტრენჩინი — კობა (სენეცი) 2:2, რუჟომბეროკი — ნიტრა 3:0, სლოვანი (ბრატისლავა) — დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) 2:1, სპარტაკი (ტრნავა) — დუნაისკა სტრედა 3:0, ბანიკი (პრიევიძა) — ჟილინა 1:0, არტმედია (პეტრჟალკა) — ინტერი (ბრატისლავა) 0:1.

**რუმინეთის** ჩემპიონატის მეორე ტური: არჯეში (პიტეშტი) — პეტროლული (პლოიეშტი) 1:0, ბაკეუ — რაპიდი (ბუქარესტი) 0:0, უნივერსიტატია (კრაიოვა) — ონესტი 1:0, რესიტა — ფარული (კონსტანცა) 1:1, დინამო (ბუქარესტი) — გლორია (ბისტრიცა) 5:0, ოცელული (გალატი) — ექსტენსივი (კრაიოვა) 8:2, სტიაუა (ბუქარესტი) — როკარი (ბუქარესტი) 2:1, ჩაჰლაული (პიატრა ნეამცი) — ბრაშოვი 2:1. პლოიეშტის „ასტრას“ და ბუქარესტის „ნაციონალის“ შეხვედრა გადაიდო. ჩემპიონატს ორ-ორი მატჩის მომგები „ოცელული“ და დედაქალაქის „დინამო“ ლიდერობენ. მესამე ადგილზე ერთბაშად რვა გუნდია 3-3 ქულით.

**პარაგვაის** ნაკრების მწვრთნელი ევერ ალმეიდა თანამდებობიდან გადადგა. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, მომავალ ფინალისტ ურუგვაისთან პენალტების სერიაში მარცხის შემდეგ პარაგვაელთა მწვრთნელს თანამდებობაზე დარჩენის არანაირი უფლება არ ჰქონდა და ისიც წავიდა. ფეხბურთელებმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს თხოვნით, ალმეიდა თანამდებობიდან მოეხსნათ. პარაგვაის ფეხბურთის მამების განცხადებით, მოსალოდნელია, ქვეყნის ნაკრებს არგენტინელმა უთავკაცოს. კანდიდატი ორია — ედუარდო ლუსან მანერა და გაბრიელ მაკაია. შეგახსენებთ, რომ პარაგვაი „კოპა ამერიკის“ მასპინძელი გახლდათ.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბმა „ლიდს იუნაიტედმა“, რომელმაც ჰოლანდიელი თავდამსხმელის — ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გაყიდვა არ მოისურვა, ფეხბურთელისგან ახალ კონტრაქტზე უარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელ ფორვარდს მადრიდის „ატლეტიკო“ ეპატიჟებოდა, სანაცვლოდ კი „ლიდსს“ 10 მილიონ გირვანქას უხდიდა. ჰასელბაინკმა კარგად იცის, რომ ესპანეთში გადასვლის შემთხვევაში მისი ხელფასი გაორმაგდება და ლიდსელებთან ახალ კონტრაქტს ამიტომ არ აფორმებს. იანვარში მას გუნდთან ხელშეკრულება უმთავრდება და ახალ კლუბში გადასვლას დაუბრკოლებლად შეძლებს.

**აფრიკის** სამხრეთით მდებარე ქვეყნების პირველობის, იგივე „კოსაფა კასელაფის“ გათამაშების ნახევარფინალების კენჭისყრა შაბათს მოეწყო — 14 აგვისტოს ანგოლა ან ზამბიას შეხვდება ანაც მოზამბიკს, 28-ში კი ნამიბია სვაზილენდს დაუპირისპირდება. ზამბიისა და მოზამბიკის გადადებული მეოთხედფინალი 7 აგვისტოსთვისაა დაგეგმილი.

**ბულგარეთის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ლუბოსლავ პენევმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ფეხბურთს შეეშვა. შეგახსენებთ, რომ პენევი სოფიის ცსკა-ს პრეზიდენტად აირჩიეს. 32 წლის პენევმა, რომელიც ცსკა-ს პრეზიდენტად 23 ივლისს დაამტკიცეს, გასული სეზონის მიწურულს განაცხადა, რომ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ფეხბურთს გამოეთხოვებოდა. ესპანეთში გადაბარგებამდე, 1985-89 წლებში, პენევი სწორედ ცსკა-ს ფეხბურთელი გახლდათ. ვიგოს „სელტას“, პენევის ბოლო კლუბის პრეზიდენტმა ორასიო ვიკტორ გომესმა განაცხადა, რომ ლუბოსლავ პენევის წასვლა მისი გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. ცნობისთვის: ესპანეთის ჩემპიონატში ნათამაშევ 305 მატჩში ლუბოსლავ პენევმა 129 გოლი გაიტანა.

**იტალიას**, კერძოდ მილანს, ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი — მადრიდის „რეალი“ ეწვია და ამხანაგურ მატჩში „ინტერს“ 3:2 მოუგო. მილანელთა შორის პირველად ითამაშა მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა კრისტიან ვიერიმ, რომელმაც ერთი გოლიც გაიტანა, თუმცა მას მხარს არ უმშვენებდა რონალდო, რომელიც ისვენებს. სტუმართაგან გოლები რაულმა და მორიენტესმა (ორი) გაიტანეს, მასპინძელთა კიდევ ერთი გოლიც ანდრეა პირლოს ანგარიშზეა.

**ინგლისური** კლუბის, ჩემპიონთა თასის ორგზის მომგები „ნოტინგემ ფორესტის“ მწვრთნელმა დევიდ პლატმა ვეტერანი იტალიელი მცველი მორენო მანინი გადაიბირა. 36 წლის მანინი, რომელსაც „სამპდორიას“ შემადგენლობაში სერია A-ში 400-ზე მეტი შეხვედრა უთამაშია, თავის დროზე იტალიურ კლუბში დევიდ პლატის თანაგუნდელი გახლდათ. 90-იანი წლების დასაწყისში პლატიც იტალიაში თამაშობდა. ნოტინგემური კლუბის წარმომადგენლებმა ისიც განაცხადეს, რომ კიდევ ორი იტალიელი ფეხბურთელის, მცველ სალვატორე მარტეკანოს და ნახევარმცველ ჯანლუკა პეტრაჩის შეძენა სურთ. ისინი „პერუჯაში“ თამაშობენ და „ნოტინგემთან“ ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში ინგლისელები ორივეს სანაცვლოდ 4,4 მილიონ დოლარს გადაიხდიან.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეიცვალა რამე?

## საფრანგეთი

I ტური

**ბორდო 3:2 ბასტია**
1:0 ალიკარტე (34), 1:1 ნე (57), 1:2 პეტერსენი (69პ) 2:2 ლასლანდი (81), 3:2 მიკუ (85)

**მონაკო 2:2 სენტ ეტიენი**
1:0 სიმონე (11), 1:1 პედრონი (18), 2:1 ტრეზეგე (29), 2:2 ალოიზიო (52)

**მეცი 0:0 რენი**

**პსჟ 1:0 ტრუა**
1:0 რობერი (60)

**ლიონი 1:2 მონპელიე**
0:1 ლოკო (25), 0:2 ბარბოსა (73), 1:2 ვერელი (79)

**სტრასბური 1:0 ლანსი**
1:0 პემდანი (46)

**ნანტი 1:0 ლე ავრი**
1:0 სიბიერსკი (90)

**მარსელი 3:0 სედანი**
1:0 ბაკაიოკო (26), 2:0 დიუგარი (33), 3:0 ბელმანდი (90)

**ოსერი 2:1 ნანსი**
1:0 გივარში (35), 2:0 კომიზეტი (64), 2:1 ვიარტი (66)

რაღაც ნამდვილად შეიცვალა. გუნდებში ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ. ერთმა დებიუტანტმაც გამოიღო ხელი, მაგრამ ჩათავდა პირველი ტური და შარშანდელის მსგავსად ცხრილის სათავეში ისევ „მარსელი“ და „ბორდო“ მოკალათდნენ. ცხადია, ცხრილიც და შთაბეჭდილებაც ჯერ ზოგადი და პირობითია, მაგრამ მაინც...

გასული ჩემპიონატის ბოლო ტურისა არ იყოს, ჩემპიონმა „ბორდომ“ გახსნის მატჩშიც ბოლოსკენ გადაწყვიტა თავისი ბედი. 69-ე წუთზე ბასტიელმა პეტერსენმა ბორდოელებს პენალტი გაუტანა და სტუმრები დააწინაურა. მერე თითქოს თამაშიც ისე წავიდა, ჩემპიონებს კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ საქმე დასასრულისკენ რომ მიდიოდა, ოთხ წუთში ლასლანდმა და მიკუმ ჩემპიონური კლასი და ამბიცია დაამტკიცეს და პირველი სამი ქულა ჩაიწერეს.

პარასკევის მეორე მატჩში „მონაკო“ წლეულს აღზევებულ „სენტ ეტიენს“ მასპინძლობდა. არგენტინელი გალიარდოთი და იტალიელი სიმონეთი გაძლიერებული მონაკოელები წყვილის აშკარა ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ დასაწყისში მოპოვებულ უპირატესობას თუ არ ჩავთვლით, „სენტ ეტიენმა“ გაცილებით დალაგებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ეტყობა, გალიარდოს დრო სჭირდება ახალ გარემოსთან შესაგუებლად. ყოველ შემთხვევაში, „სენტ ეტიენთან“ მან საკუთარი თამაში ბოლომდე ვერ იპოვა. ნამდვილი გალიარდო კი ჩვენ შარშან საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახეთ. მარკო სიმონეს ფაფხურობამ მე-11 წუთზე გამოიღო შედეგი, როცა ვარცხნილობაშეცვლილმა იტალიელმა ანგარიში გახსნა. მერე, ბევრი ცდის მიუხედავად, არაფერი გამოუვიდა. არცთუ საიმედოდ ითამაშა მასპინძელთა მეკარე ბარტეზმაც. სტუმრებმა კი ივარგეს და როცა მათმა ბრაზილიელმა ალოიზიომ ანგარიში 2:2 გახადა, არავის გაჰკვირვებია.

მეორე დღეს საქმეში „მარსელიც“ ჩაება და გახსნის მატჩში „სედანი“ გაანადგურა — 3:0. პირველი ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი „ლიონის“ საშინაო მარცხი გახლდათ „მონპელიესთან“. „ლიონმა“, რომელმაც ამ ზაფხულს მოთამაშეების შეძენაზე 40 მილიონი დოლარი დახარჯა და ამით ქვეყნის რეკორდიც დაამყარა, მეტად სუსტი სტარტი აიღო. მართალია ერთმა ახალბედამ, ტონი ვერელმა თავი გამოიჩინა, მაგრამ მისი გოლი ქულის მოსაპოვებლადაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი.

პარიზში კი სეზონის პირველი გაძევებაც დაფიქსირდა. „პარკ დე პრენსზე“ პსჟ — „ტრუას“ მატჩის მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა მსაჯმა დებიუტანტ სტუმართა კაპიტან ფრედერიკ არპინიონს უხეშობისთვის წითელი ბარათი უჩვენა.

მაშ ასე, ახალი სეზონი ძველი სცენარით, პირველი ტურის შემდეგ სათავეში ისევ „მარსელი“ და „ბორდო არიან.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბორდო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მონპელიე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ოსერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პსჟ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სტრასბური | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ნანტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მონაკო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სენტ ეტიენი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მეცი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბასტია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ნანსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტრუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლანსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლე ავრი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სედანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |




REUTERS

რეინჯერსი — კილმარნოკი 2:1. რეინჯერსის ამერიკელი ფორვარდი კლაუდიო რეინა კილმარნოკის კრის ინესს გაურბის

# ბარნსმა რიხით დაიწყო

## შოტლანდია

I ტური

**აბერდინი 0:5 სელტიკი**
0:1 ლარსონი (4), 0:2, 0:3 ვიდუკა (35,41), 0:4 ლარსონი (52პ), 0:5 ბერჩილი (90)

**დანდი იუნ. 2:1 დანდი**
1:0 სკოლდმარკი (14), 1:1 ფალკონერი (52), 2:1 ფერაზი (85)

**ჰიბერნიანი 2:2 მოზერველი**
1:0 ლემანი (45), 1:1 ნევინი (65), 2:1 ლემანი (81), 2:2 ნიკოლზი (90)

**რეინჯერსი 2:1 კილმარნოკი**
1:0 უოლესი (39), 1:1 მიტჩელი (65), 2:1 რეინა (68)

**სენტ ჯონსტონი 1:4 ჰართსი**
0:1 მაკსვიგანი (31), 0:2 ფოგელი (66), 0:3 დოდსი (78 ს. კ.), 0:4 კემერონი (79), მაკილანი (83)

შოტლანდიის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა გლაზგოს „სელტიკმა“, რომელსაც ახალი მთავარი მწვრთნელი, წარსულში ინგლისის ნაკრების ფორვარდი ჯონ ბარნსი ჰყავს, წლევანდელი სეზონი ჩინებულად დაიწყო. „სელტიკმა“ სტუმრად 5:0 მოუგო „აბერდინს“. აღმოჩნდა, რომ თავისი ისტორიის მანძილზე გლაზგოლებს აბერდონში ასეთი ანგარიშით არასოდეს გაუმა[illegible]ვიათ. „თავისი“ პირველი სამი ქულა ჩაიწერა ჩემპიონმა „რეინჯერსმა“, რომელმაც შინ „კილმარნოკს“ სძლია 2:1, თუმცა, თამაში დაძაბული იყო და ჩემპიონებს სტუმართა დასამარცხებლად გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ.

ამ უქმეებზე შოტლანდიაში ერთი უჩვეულო რეკორდიც აღინუსხა. ქვეყნის პირველი დივიზიონის „კლაიდბენკი“ შინ ლიგის თასის მატჩს ატარებდა და სტადიონზე არც მეტი, არც ნაკლები, სულ 29 ბილეთი გაიყიდა. ასე ცოტა მაყურებელი შოტლანდიური ფეხბურთის ისტორიაში არც ერთ მატჩს არ დასწრებია. ოფიციალურად „კლაიდბენკი“ პატარა ქალაქ გრინოკის გუნდია, მაგრამ ამ თამაშს მშობლიური ადგილიდან 35 კილომეტრის დაშორებით ატარებდა. საქმე ისაა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია, კლუბმა საკუთარი „კლაიდბოუი პარკის“ სტადიონი გაყიდა და ახლა არენდით აღებულ მოედნებზე თამაშობს. ის მატჩი კი „კლაიდბენკმა“ 1:2 წააგო „ისტ სტირლინდთან“ და თასის გათამაშებას გამოეთიშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ჰართსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დანდი იუნ. | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჰიბერნიანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მოზერველი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დანდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კილმარნოკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სენტ ჯონსტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| აბერდინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |



REUTERS

ბორდო — ბასტია 3:2. ბორდოელი ლილიან ლასლანდი (მარცხნივ), რომელმაც სტუმრებს ერთ-ერთი გადამწყვეტი გოლი გაუტანა, ბასტიელ პატრიკ ვალერის ებრძვის

## პოლონეთი

მე-3 ტური. ვიძევი — ვისლა 3:4; ამიცა — ლეხი 1:0; ლეგია — ზაგლებე 2:2; ოდრა — გურნიკი 3:3; პლოცკ — ლკს 2:0; რაძიონკოვი — რუხი 1:2; გროცლინი — პოლონია 0:1; პოგონი — სტომილი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 3 | 3 | 0 | 0 | 10:4 | 9 |
| რუხი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| პოგონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ამიცა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| სტომილი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ზაგლებე | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| პოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პლოცკ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლკს | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| ლეგია | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| გურნიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 7:8 | 2 |
| ლეხი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ვიძევი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |
| ოდრა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| რაძიონკოვი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| გროცლინი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

## შვეიცარია

მე-6 ტური. ივერდონი — გრასჰოპერი 2:0; არაუ — სერვეტი 3:2; ბაზელი — დელემონი 3:0; ლუგანო — ლოზანა 1:1; ქსამაქსი — სტ. გალენი 2:2; ციურიხი — ლუცერნი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| სტ. გალენი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| გრასჰოპერი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:4 | 9 |
| ივერდონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ლუცერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| არაუ | 6 | 2 | 2 | 2 | 8:12 | 8 |
| ქსამაქსი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:10 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 6 |
| ლუგანო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ციურიხი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| დელემონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |
| ლოზანა | 6 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 |

## შვედეთი

მე-15 ტური. ნორჩიოპინგი — კალმარი 4:2; ტრელებორგი — ფრიოლუნდა 1:0; აიკ — ელფსბორგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 15 | 9 | 3 | 3 | 25:10 | 30 |
| იორგრიტე | 14 | 8 | 5 | 1 | 28:9 | 29 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 9 | 1 | 4 | 24:15 | 28 |
| ჰალმსტადი | 14 | 7 | 3 | 4 | 26:13 | 24 |
| კალმარი | 15 | 7 | 2 | 6 | 23:24 | 23 |
| ტრელებორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 25:21 | 22 |
| იორებრო | 14 | 7 | 1 | 6 | 15:17 | 22 |
| ფრიოლუნდა | 15 | 5 | 4 | 6 | 19:23 | 19 |
| გიოტებორგი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:19 | 17 |
| მალმიო | 14 | 4 | 3 | 7 | 17:25 | 15 |
| ნორჩიოპინგი | 15 | 3 | 5 | 7 | 15:24 | 14 |
| ელფსბორგი | 15 | 3 | 4 | 8 | 23:33 | 13 |
| იურგორდენი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:26 | 12 |
| ჰამარბი | 14 | 2 | 5 | 7 | 15:25 | 11 |

## ნორვეგია

მე-17 ტური. რუსენბორგი — კონგსვინგერი 4:1; ბრანი — ბოდიო გლიმტი 0:2; მოლდე — ვოლერენგა 4:3; სტაბეკი — ლილესტრიომი 1:6; ვიკინგი — ტრომსიო 2:1; სტრიომსგოდსეტი — სკეიდი 3:1; ოდ გრენლანდი — მოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 17 | 12 | 2 | 3 | 48:15 | 38 |
| ლილესტრიომი | 17 | 11 | 2 | 4 | 44:27 | 35 |
| მოლდე | 17 | 11 | 2 | 4 | 31:21 | 35 |
| ბრანი | 16 | 10 | 0 | 6 | 27:25 | 30 |
| სტაბეკი | 17 | 9 | 2 | 6 | 36:31 | 29 |
| ტრომსიო | 16 | 8 | 2 | 6 | 39:27 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 17 | 7 | 3 | 7 | 31:33 | 24 |
| ვიკინგი | 17 | 7 | 2 | 8 | 28:26 | 23 |
| ოდ გრენლანდი | 17 | 7 | 2 | 8 | 23:34 | 23 |
| სტრომსგოდსეტი | 17 | 6 | 1 | 10 | 28:38 | 19 |
| სკეიდი | 17 | 5 | 2 | 10 | 21:39 | 17 |
| მოსი | 17 | 5 | 1 | 11 | 23:34 | 16 |
| ვოლერენგა | 16 | 4 | 3 | 9 | 24:32 | 15 |
| კონგსვინგერი | 16 | 3 | 0 | 13 | 21:42 | 9 |

# აურზაური იუგოსლავიაში

იუგოსლავიის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველივე ტურში ქვეყანაში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ იჩინა თავი. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ საკმაო რაოდენობით ქომაგები ჩაჰყვნენ ქალაქ კაჩაკში, რომელიც ცენტრალურ სერბიაში მდებარეობს. პირველი დივიზიონის ახალბედამ, ადგილობრივმა „ბორაცმა“ დიდი ბრძოლა გაუმართა სახელგანთქმულ მეტოქეს. მე-9 წუთზე „ცრვენამ“ ანგარიში გახსნა და ბელგრადელი ფანებიც მინდორზე გადაცვივდნენ. პოლიციას 24 წუთი დასჭირდა მოედნის გასათავისუფლებლად, მაგრამ არეულობები ამით არ დამთავრებულა. როცა პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა გაათანაბრეს, სტუმართა ქომაგები ისევ გადავიდნენ მინდორზე. ამჯერად თამაში 50 წუთით შეწყდა. პოლიციელებს ბრბოს დასაწყნარებლად ჰაერში სროლაც კი დასჭირდათ. საბოლოოდ სკანდალური მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა.

ადგილობრივი „სპორტსკი ჟურნალი“ წერს, რომ აურზაურის გამო „ცრვენა ზვეზდას“ რვა ფანი დაიჭირეს. მათგან შვიდს 30-დღიანი, ხოლო ერთს 40-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მიზეზად ადგილობრივ გულშემატკივრებთან ჩხუბის პროვოცირებას ასახელებენ. არეულობების შემდეგ ოცდაათამდე ადამიანმა, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმაც, ადგილობრივ საავადმყოფოს მიაკითხა.

ბელგრადის „პარტიზანმა“, რომელმაც გასულ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში შინ ხორვატული „რიეკა“ დაამარცხა (3:1), პირველი ტური იძულებით გამოტოვა. პარტიზანელებს „პრიშტინასთან“ უნდა ეთამაშათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. „პრიშტინა“ კოსოვოს ადმინისტრაციული ცენტრიდანაა და ახლა იქ არავის ეფეხბურთება. მოთამაშეებმა გუნდი მიატოვეს და იქ მისვლის მსურველიც არავინაა.

შეგახსენებთ, რომ კოსოვოს ამბების გამო იუგოსლავიის გასული პირველობაც არ ჩამთავრებულა. ჩემპიონი და პრიზიორები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ვადამდე გამოავლინა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ინგლისი

## სუპერთასი

**არსენალი 2:1 მანჩესტერი**

0:1 ბექემი (37), 1:1 კანუ (67პ), 2:1 პარლოუ (77)

არსენალი: მენინგერი, დიქსონი, კეონი, უინთერბერნი, გრიმანდი, ვიეირა, სილვინიო (ბოა მორტე 65), პეტი, პარლოუ (ლუჟნი 89), ლუნგბერგი, კანუ

მანჩესტერი: ბოზნიჩი, ირვინი, სტამი (მეი 46), ბერგი, ნევილი, ბექემი, ბათი (შერინგემი 81), სქოულზი, კრუიფი (სოლსკიაერი 61), კოული, იორკი

მსაჯი: ბარბერი




REUTERS ლონდონიდან

ინგლისის სუპერთასის მფლობელი, ქვეყნის ჩემპიონთა მძლეველი ლონდონის „არსენალი“

ინგლისის ვიცე-ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა“ ჩემპიონი და თასის მფლობელი „მანჩესტერი“ დაამარცხა და ქვეყნის სუპერთასს დაეუფლა. „მეთოფეებმა“ შარშანდელი მიღწევა გაიმეორეს — ერთი წლის წინ სუპერთასზე მათ მანჩესტერელებს 3:0 მოუგეს.

...1996 წლის 19 დეკემბერს, პრემიერლიგის მატჩში „მიდლსბრომ“ „მანჩესტერი“ დაამარცხა. იქიდან მოყოლებული ამ კვირამდე ალექს ფერგიუსონის გუნდი უძლეველი იყო და თუ ავსტრალიურ-აზიური ტურნეს შეხვედრებსაც ჩავთვლით, ოლდტრეფორდელები ზედიზედ 37 შეხვედრის მანძილზე დაუმარცხებელნი იყვნენ. ლონდონის „არსენალმა“, „მანჩესტერის“ ყველაზე ძლიერმა მოწინააღმდეგემ, ბრწყინვალე სერიას ბოლო მოუღო.

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იქნებ ქვეყნის სუპერთასი ბევრს არ ნიშნავდეს, მაგრამ მიხარია, რომ ჩემმა გუნდმა ძლიერად ითამაშა, მეტოქის უპირატესობა გააქარწყლა და საბოლოოდ იმარჯვა. სეზონის წინ „მანჩესტერთან“ მოგება მართლაც სასიხარულოა — განაცხადა ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. მანვე ნიკოლა ანელკაზეც თქვა, იგი „არსენალში“ ველარ ითამაშებს, თუ კლუბში დარჩენა სურს, კეთილი, დარჩეს, მაგრამ გუნდის მაისურას ველარასოდეს მოირგებსო.




REUTERS ლონდონიდან

გამარჯვების გოლი — ლონდონელთა თავდამსხმელმა რეი პარლოუმ მეორე გოლი გაიტანა

ცბიერ შოტლანდიელ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს სუპერთასის დათმობა მაინცდამაინც ძალიან არ განუცდია, პირიქით, მომავალი დიდი წარმატების მანიშნებლად ჩათვალა:

— მერე რა, რომ სუპერთასი დავთმეთ. წლეულს კარგი სეზონი გვაქვს და იმედია, ასევე გავაგრძელებთ. წინა სეზონის დასაწყისამდეც სუპერთასზე „არსენალთან“ დავმარცხდით, საბოლოოდ კი ინგლისის ჩემპიონები, ინგლისის თასის მფლობელები და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები გავხდით. იმედია, წლეულსაც ასე იქნება.

შესანიშნავად ითამაშა „არსენალის“ ნიგერიელმა გამთამაშებელმა, 1996 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნვანკვო კანუმ — ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი პარლოუს, შესანიშნავი პასით გოლიც გაატანინა. თუ ვინმე უქმნიდა საფრთხეს მანჩესტერელთა კარს, ეს, უპირველეს ყოვლისა, კანუ გახლდათ.

67-ე წუთამდე „მეთოფეები“ მარცხდებოდნენ — ზუსტად 30 წუთის წინ დევიდ ბექემის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით ოლდტრეფორდელები სუპერთასს იგებდნენ.

სხვათა შორის, ბექემის გოლზე დღესაც ბჭობენ — ზოგი მას დუაიტ იორკს უთვლის, ზოგიც — ბექემს.

**ირაკლი ილაშვილი**

# კრისტიან მიდლსბროელი

გერმანელი ნახევარმცველი კრისტიან ციგე მიდლსბროელი გახდა.

27 წლის ფეხბურთელმა, რომელზეც „მილანმა“ ცოტა ხნის წინ უარი თქვა, პრემიერლიგის კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ციგე კლუბის მწვრთნელ ბრაიან რობსონისთვის მეორე სერიოზული შენაძენია ბოლო ერთი კვირის მანძილზე — ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა პარასკევს „ლივერპულისგან“ პოლ ინსი შეიძინა. „მიდლსბრომ“ მერსისაიდელებს შავკანიანი ნახევარმცველის სანაცვლოდ 1,6 მილიონი დოლარი გადაუხადა. შედარებისთვის გეტყვით, რომ ციგეს გადაბირებაში „მიდლბსრომ“ 6,4 მილიონი დოლარი დახარჯა.

— ციგე ერთ-ერთი საუკეთესო უკანაფლანგელია მსოფლიოში. ის შესანიშნავ ფორმაშია და, დარწმუნებული ვარ, კლუბს შეეწყობა. ციგესა და ინსის დამატებით „მიდლსბრო“ საკმაოდ ძლიერი გუნდი იქნება. მე ამის მჯერა — განაცხადა რობსონმა.

ჩემპიონატის პირველ ტურში „მიდლსბრო“ „ბრედფორდს“ ხვდება. ციგეს და ინსის დებიუტი ახალ კლუბში იქნებ სწორედ ამ შეხვედრაში შედგეს.

**ირაკლი ილაშვილი**

# უკრაინა

მე-5 ტური. შახტარი — ვორსკლა 0:0; პრიკარპატია — კრივბასი 1:3; მარიუპოლი — დნიპრო 3:2; ნივა — ტავრია 1:1; ცსკა — ზირკა 3:0; მეტალისტი — მეტალურგი 2:1; კარპატი — ჩორნომორეცი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| მეტალისტი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| შახტარი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:1 | 10 |
| მარიუპოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:5 | 9 |
| კარპატი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| ცსკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:2 | 7 |
| ვორსკლა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| ტავრია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ზაპოროჟიე | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| ნივა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| მეტალურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| პრიკარპატია | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ჩორნომორეცი | 5 | 1 | 0 | 4 | 1:14 | 3 |
| ზირკა | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |
| დნიპრო | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

# რა თქმა უნდა ჩვენ

*ამ არსენალელმა კვირას სუპერთასის შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ ტონი ადამსის ტრავმისა და ასაკის გამო, მომავალ სეზონში, ალბათ, ხშირად მოუწევს ძირითად შემადგენლობაში თამაში. კვირას კი იგიც ტრავმის გამო იჯდა ტირბუნაზე. მისი სახელია მეტიუ აპსონი.*




მეტიუ აპსონი

**— რა მიზნებს ისახავს „არსენალი“ მომავალ სეზონში?**

— ვგონებ, ჩვენი უპირველესი მიზანი პრემიერლიგაში გამარჯვებაა. ეს უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება. გასულ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში ნაწვენვმა მარცხმა ყველა გაგვაწბილა, მაგრამ პრემიერლიგის ვერმოგება გაცილებით მძიმე გადასატანი გამოდგა. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერლიგის თამაშებში მთელი წლის განმავლობაში უდიდეს ჯაფასა და ენერგიას ვაქსოვთ, ხოლო ევროპული შეხვედრები, პრინციპში, მაინც აქა-იქ ტარდება.

**— თქვენს პირად მიზნებზე რაღას გვეტყვით?**

— მინდა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვითამაშო. ასეც მოხდება. მგონი საამისოდ დროც მექნება. ტონი ადამსი დღეს მკურნალობს, მაგრამ მალე გამოჯანსაღდება. ამიტომ, იმის ფიქრი, რომ მის არყოფნაში კარგად ვითამაშებ და ძირითადში ადგილს წავართმევ, არ მაქვს. ჩემი მიზანი სხვაა: მინდა მწვრთნელებს ვაჩვენო, რომ ძლიერი ფეხბურთელი ვარ და მალე გუნდის შეუცვლელი წევრი გავხდები. წინ უამრავი მატჩი გველის. ჰოდა, თუკი დღევანდელ ვარსკვლავთაგან ვინმე დაშავდება, უპირველეს ყოვლისა, მე უნდა ვიკავებდე მათ ადგილს. ისიც კარგად ვიცი, რომ ახალგაზრდობის გამო დიდი სამუშაო მაქვს გასაწევი, მაგრამ ძლიერი ფეხბურთელობისთვის საფუძველი უკვე ჩაყრილი მაქვს. დანარჩენი კი თავისით, დროთა განმავლობაში მოვა. გასულ სეზონში გვარიანი ჯოჯოხეთი გავიარე და შედეგად ფსიქოლოგიურად ძლიერ მოთამაშედ ჩამოვყალიბდი. დღეს ნებისმიერ სირთულესთან შებმისთვის მზად გახლავართ.

**— თქვენთვის ვინ არის სამაგალითო ფეხბურთელი?**

— როდესაც ყველაფერი კარგად მიდის, ასეთი რამდენიმეა. შეუძლებელია მარკ ოვერმარსის ნაირი კაცი სამაგალითო არ იყოს. კიდევ, ასეთები დენის ბერხკამპი და ემანუელ პეტი გახლავან, ხოლო როდესაც საქმე ცუდად მიგვდის, მაშინ დაცვის ოთხეულისა და მეკარისკენ მაქვს მზერა მიპყრობილი. მათგან უამრავი რამ ვისწავლე. იცით, როდესაც ამ ხალხზე ზეწოლაა, ისინი უბადლონი ხდებიან. თითებზე ჩამოსათვლელ ფეხბურთელებს თუ შეუძლიათ მათი გატეხვა. ისინი შეუვალი, ქედმოუხრელი ადამიანები არიან, მაგრამ იმავდროულად დიდებული ფეხბურთელებიც გახლავან. მათ მატჩის წაკითხვის საუცხოო უნარი აქვთ და ამასთან გული ერჩით — იციან, როგორ უნდა გაიმარჯვონ.

**— გასულ სეზონში თქვენ თუ გაბრწყინდით?**

— დიდი სიამოვნება მომანიჭა ათენში, „პანათინაიკოსთან“ ჩატარებულმა შეხვედრამ. ვეებერთელა გამოცდილება შემძინა იქაური, ემოციური გულშემატკივრის წინაშე თამაშმა და გამარჯვებამ.

**— ყველაზე ცუდი რაღა იყო?**

— რომ მინდოდა, იმდენ მატჩში ვერ ვითამაშე. ამან ძალიან დამწყვიტა გული. ახლა სტივ ბოულდი „სანდერლენდში“ წავიდა, ხოლო ტონიმ ტრავმა მიიღო, რაც ჩემთვის ნაბიჯის წინ გადადგმას უნდა ნიშნავდეს. მწვრთნელს ბევრი ველაპარაკე, მან კი მოთმინებისკენ მომიწოდა და მითხრა, ვიცი, რასაც ვაკეთებ, მენდე და შენვე მოიგებო. სხვა რა გზა მაქვს, ახალბედა ხომ არ არის, ამ საქმეში ჭიპმოჭრილი კაცია. ვხვდები, ნელ-ნელა მრთავს საქმეში, რადგან იცის, რომ მოვლენათა გულში პირდაპირ შეგდებულ ბევრ ახალგაზრდას ცუდად წასვლია საქმე, თუმცა, მგონი, მე ასე არ მომივა, იმიტომ, რომ მზად ვარ.

**— ვის წინააღმდეგ გეჭავრებათ თამაში?**

— კლუბებიდან ყველაზე უსიამოვნო „ჩელსია“, ლიგის თასზე 5:0 მოგვიგო. იმ დღეს მოედანზე მართლა ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა გამოყვანილი. ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელი ყოფილა ჯანლუკა ვიალი. გამოცდილია, საოცრად გადაადგილდება ხოლმე და ჩინებულად ფლობს ბურთს. იგი და ტორე ანდრე ფლო მცველთათვის უდიდესი ხიფათია, თუმცა სხვა პრობლემაც გვქონდა: დაცვაში ვთამაშობდით მე, არგენტინელი ნელსონ ვივასი და ორიც ფრანგი. რა ენაზე უნდა გველაპარაკა?

**— კეთილი, ბოლოს ეს გვითხარით, ვინ გახდება ინგლისის ჩემპიონი?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ.

**365-დან თარგმნა**
**მიხეილ სურგულაძემ**

# ფრანც ბეკენბაუერი
## საუკუნის ფეხბურთელი გერმანიაში




გერმანიის საუკუნის ნაკრები (მარცხნიდან): გერდ მიულერი, გიუნტერ ნეცერი, უვე ზეელერი, ფრიც ვალტერი, ზეპ მაიერი, მათიას ზამერი, იურგენ კოლერი, ბერტი ფოგთსი, ფრანც ბეკენბაუერი

*გფრ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ამჟამად კი მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი კვირას გერმანიის „ასწლეულის მოთამაშედ“ დაასახელეს. გამოკითხვას ტელეარხი ARD და ჟურნალი „კიკერი“ ატარებდნენ. ფრანც ბეკენბაუერი, რომლის კაპიტნობითაც 1972 წელს გფრ-მ ევროპის, ხოლო 1974-ში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო, მოგვიანებით ამავე ნაკრების თავკაცი გახლდათ და 1990 წელს, უკვე როგორც მწვრთნელმა მსოფლიოს თასი მოიპოვა. 53 წლის ბეკენბაუერი, ცხადია, გერმანიის „ასწლეულის ნაკრებშიც“ შეიყვანეს. ამ გუნდში მისი „პარტნიორები“ არიან: ზეპ მაიერი, ბერტი ფოგთსი, იურგენ კოლერი, ლოთარ მათეუსი, გიუნტერ ნეცერი, ფრიც ვალტერი, მათიას ზამერი, უვე ზეელერი, გერდ მიულერი და იურგენ კლინსმანი.*

# დიდი დავა

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას ჩარევასა და „რუსენბორგ“-„ბენფიკას“ სატრანსფერო დავის გადაჭრას ელის. ნორვეგიელები იმედოვნებენ, რომ მათ კლუბს პორუტგალიურთან ამ კვირაში მოუგვარებენ საქმეს.

ფედერაციის წარმომადგენლები გუშინ „რუსენბორგის“ დირექტორ რუნე ბრატსეტსა და ვექილებს ეთათბირნენ. მათ სცადეს ტრონჰეიმელთათვის აეხსნათ, რომ მსოფლიო ფეხბურთის განმგებელი ორგანიზაცია კატეგორიულად ითხოვს თავდამსხმელის სიგუარდ რუშფელდტის „ბენფიკაში“ დაბრუნებას ან „რუსენბორგის“ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას, რატომ აიძულეს ფეხბურთელი ნორვეგიაში გაქცეულიყო.

რუშფელდტი, ნორვეგიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი, ივლისის დასაწყისის მერე ლისაბონში ცხოვრობდა და „ბენფიკასთან“ ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ, მოულოდნელად ყოფილი კლუბიდან, „რუსენბორგიდან“ დაურეკეს და შინ დაბრუნება მოსთხოვეს. რუსენბორგელები ამბობენ, რომ მათ ლისაბონიდან საბანკო გარანტიის მეტი ლოდინი აღარ შეუძლიათ.

ნორვეგიის ჩემპიონმა რუშფელდტის სანაცვლოდ ექვსი მილიონი კრონი უკვე მიიღო და ახლა დანარჩენი 24 მილიონის გარანტიას ელის. 24 მილიონი კრონი 3,09 მილიონი დოლარი გახლავთ.

ნორვეგიული ვერსიით „ბენფიკას“ გარანტიის წარდგენის ვადა 31 ივლისამდე ჰქონდა.

# შუკერის გზა

დავორ შუკერი მოგეხსენებათ ხორვატი თავდამსხმელია, რომელიც გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შემდეგ კი ფრთები მოეკვეცა და სეზონის მიწურულს კლუბის, მადრიდის „რეალის“ მწვრთნელ ჯონ ტოშაკთან კონფლიქტის გამო გუნდიდან აგდებდნენ. შუკერის ბედი საბოლოოდ ასე გადაწყდა — იგი ლონდონის „არსენალში“ გადავიდა.

პრემიერლიგელებმა 31 წლის ხორვატში 5,67 მილიონი დოლარი გადაიხადეს და გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელსაც თავად მოთამაშეც ესწრებოდა, გამოაცხადეს, რომ იგი ლონდონში ოთხ წელიწადს გაატარებს.

„მე თუ მკითხავთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე შუკერმა ზღაპრულად ითამაშა. ეს იყო დემონსტრაცია იმისა, როგორ უნდა თამაშობდეს ძლიერი თავდამსხმელი. იგი ყველაფერს გონივრულად აკეთებდა — განაცხადა „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა, რომელმაც ხორვატს ნამდვილი გუნდური ფეხბურთელი უწოდა.

დავორ შუკერი 1991 წლის შემდეგ ესპანეთშია, თავიდან „სევილიაში“ გამოდიოდა, მერე კი სამი წელიწადი „რეალში“ დაჰყო.

საზოგადოებრიობას ბუნებრივად გაუჩნდა კითხვა არის თუ არა შუკერის „რეალიდან“ „არსენალში“ გადასვლა დაკავშირებული ნიკოლა ანელკას „არსენალიდან“ „რეალში“ თითქმის შემდგარ ტრანსფერთან.

„დავორის კონტრაქტი ანელკას შესახებ მოლაპარაკებებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია“ — განმარტა ვენგერმა, მაგრამ ფინანსურ დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა.

*უეფამ დაადგინა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა გაირკვევა 12 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ ახენში.*

*ამ შეჯიბრების მასპინძლობას ერთმანეთს პორტუგალია, ესპანეთი და ავსტრია-უნგრეთი ეცილება. ავსტრიელებსა და უნგრელებს ერთობლივი განაცხადი აქვთ შეტანილი.*

# ჰოჯსონი კალიების მწყემსი



როი ჰოჯსონი

როი ჰოჯსონმა შვეიცარიული „გრასჰოპერის“ მწვრთნელის თანამდებობაზე როჯერ ჰეგი, გუშინ, განთავისუფლებიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეცვალა.

ინგლისელი ჰოჯსონი შვეიცარიაში დღემდე გმირის შარავანდედითაა შემოსილი, რადგან მისი ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის ნაკრები 1994 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გავიდა. იგი 1990-1992 წლებში „ქსამაქსსაც“ ედგა სათავეში.

„გრასჰოპერი“ კი შვეიცარიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, რომელიც 25-ჯერ ჩემპიონი, 18-ჯერ კი თასის მფლობელი გახლდათ. რაც შეეხება გუნდის წინა მწვრთნელს, ჰეგის, იგი გასულ შაბათს ლიგის დებიუტანტ „ივერდონთან“ 0:2 წაგებისა და ცხრილში მეოთხე ადგილზე დაშვების გამო მოხსნეს.

მას მერე, რაც გასული სეზონის ბოლო მონაკვეთი მილანის „ინტერში“ დროებითი მწვრთნელის სტატუსით გაატარა, (მანამდე, ნოემბერში იგი პრემიერლიგის „ბლექბერნ როვერსმა“ დაითხოვა თანამდებობიდან) ჰოჯსონი უმუშევარი იყო და მასზე რამდენიმე კლუბს, აგრეთვე ავსტრალიის ნაკრებს ჰქონდა თვალი დადგმული, მაგრამ, როგორც ხედავთ, კონკურენტებს „გრასჰოპერმა“ აჯობა.

როი ჰოჯსონი მომავალ ორშაბათს 52 წლისა შესრულდება.

# რიცხვთა განმარტება

**0** გახლავთ იმ მატჩების რაოდენობა, რომელსაც ამიერიდან პიტერ შმაიხელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ჩაატარებს.

**1** ამდენი ქულით წააგო „ლაციომ“ იტალიის ჩემპიონის ტიტული, ამდენჯერვე ფლობდა სკუდეტოს და ლიდერობა რომ დაკარგა, ამდენი ტური იყო პირველობის დამთავრებამდე დარჩენილი.

**2** ეს ციფრი მიუთითებს ზედიზედ რამდენჯერ წააგო „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში. გარდა ამისა, ესაა ციფრი, რამდენით ნოლიც იწვნია მან ორივე ფინალში.

**3** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო ექვს სეზონში ამდენი დუბლი გააკეთა.

**4** მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ რომ არ დამარცხებულიყო ჯილდო ამდენჯერ ექნებოდა მოპოვებული.

**5** ეს ციფრი მიუთითებს ზედიზედ რამდენჯერ გახდა „პორტუ“ პორტუგალიის ჩემპიონი.

**6** იურგენ კლინსმანის გამოსათხოვარ შეხვედრაში, „შტუტგარტმა“ ვარსკვლავთა ნაკრებთან 6:8 წააგო, ხოლო თავად კლინსმანმა ამდენი გოლი გაიტანა.

**7** გახლავთ მე-20 საუკუნეში, ინგლისის ჩემპიონატში შესრულებული დუბლთა რაოდენობა.

**8** მიუხედავად მასიმო მორატის მიერ დახარჯული მილიონებისა, მილანის „ინტერმა“ სერია A-ს საბოლოო ცხრილში ამ ციფრით აღნიშნული პოზიცია დაიკავა.

**9** ეს ციფრი მიუთითებს ინგლისურ კლუბთა მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვების რაოდენობას.

**10** ამდენი ჯილდო მოიგო პიტერ შმაიხელმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში. კერძოდ: 1993, 1994, 1996, 1997, 1999 — ინგლისის ჩემპიონის ტიტული; 1992 — ლიგის თასი; 1994, 1996, 1999 — ფეხბურთის ასოციაციის თასი და 1999 — ევროპის ჩემპიონთა თასი. აღსანიშნავია, რომ „იუნაიტედი“ ამდენჯერვე ფლობდა ინგლისის ასოციაციის თასს.

**11** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლ იუნაიტედს“ ამდენი წუთის განმავლობაში ჰქონდა გამარჯვების შანსი.

**15** 1973 წლის მერე ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის გუნდებმა ზედიზედ ამდენჯერ წააგეს „უემბლიზე“ სხვადასხვა თასების ფინალში.

**16** ეს რიცხვი მიუთითებს რამენჯერ გახდა „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონი.

**31** ამდენი წლის განმავლობაში ვერ იგებდა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა თასს პირველი ტრიუმფის შემდეგ.

ფილიპ ქორნუელი

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), ფილა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე ასენსისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპაა (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპაა (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), ჯაკასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელო (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარო (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაი (იუვენტუსი);** ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარო (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია), დავორ შუკერი* (რეალი, ესპანეთი);** ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); **აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ჰენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტრაორე (ლავალი, საფრანგეთი);** ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლერუა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **კევინ კემბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი);** ქოვენთრი: ჟორჟ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჟორჟ ბოატენგი (ქოვენთრი), ნაჯუან გრაები (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი);** ლესტერი: კესი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); სანდერლენდი: მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); **ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია);** ლიდსი: ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერლი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); **მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენი მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაკე (სოგნდალი, ნორვეგია);** დერბი: პაოლო ვანჩოპე (ვესტ ჰემი); **ესტებან ფუერტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (კრიუ);** ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); **პაოლო ვანჩოპე (დერბი);** უიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); **უალიდ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილმოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია);** უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); **დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტინგემი);** ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმუთი), ენდი სინტონი (ვულვზი); **კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია);** საუთჰემპტონი: **დინ რიჩარდსი (ვულვზი);** შეფილდ უენსდეი: **ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიბონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორივე სელტიკი, შოტლანდია);** ბრედფორდი: **ლი შარპი (ლიდსი), დევიდ ვატერლი (ლიდსი), გუნარ ჰალე (ლიდსი);**

## ესპანეთი

REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკ, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეჰუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიშელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდასი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიშელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ევენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველასკო (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუნტერისი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასა, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ევენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზირო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდე გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); კიკე მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამაზანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტოსი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია);** ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## გერმანია

ბაიერნი თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა);** ლევერკუზენი ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), რუდიგერ ფოლბორნი (კარიერა დაასრულა), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი), ადამ ლედვონი, მეჰდი პაშაზადე (ორივე ფორტუნა); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), მიროსლავ შპიცაკი (ურდინგენი);** ჰერტა კრისტიან საბა (ბაიერნი), კარსტენ ლაკისი (ვალდჰოფი); **ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), დენის მაქერტი (ვალდჰოფი);** დორტმუნდი ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეივერი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), სტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი), კრისტიან ტიმი (კიოლნი); **ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი);** კაიზერსლაუტერნი მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), დანიელ გრაფი (ფორტუნა), პასკალ ოჯიგვე (კიოლნი) **ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი), სილვიო აჯიჩი, რომან ვაიდენფელერი (სამოყვარულო გუნდიდან);** ვოლფსბურგი როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი), უვე ციმერმანი (ბრაუნშვაიგი), ჯონათან აკპობორი (ოსნაბრუკი), დრაგან სტეფანოვიჩი ? **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), კრისტიან ვუკი (უგუნდოდ), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარტინ ბილიშკოვი (ჰაიდუკი);** ჰამბურგი სერგეი კირიაკოვი (ბერლინი), თომას ფოგელი (მიონხენგლადბახი), მარტინ დალინი (ბლექბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ოლივერ შტრაუბე (უნტერჰახინგი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); **მეჰდი მაჰდავიკია (ბოხუმი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი);** დუისბურგი სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი), პასკალ ტიულერი (სენტ გალენი), მარტინ ფრიდეკი (ტეპლიცე); **მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), მარტინ შნაიდერი (მიონხენგლადბახი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), ანდრეას ვოსი (ლევერკუზენი);** მიუნხენ 1860 აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), ბერნდ მაიერი (მიონხენგლადბახი), შტეფან მალცი (არსენალი), მანფრედ ბენდერი (კარლსრუე), ბერნდ ჰობში (ნიურნბერგი); **კრისტიან პროზენიკი, მარკუს პორკი (ორივე რაპიდი, ვენა), ტომას ვოტავა (სპარტა), თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი);** შალკე ჰამი (ტრაბზონსპორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), რენე აიკელკამპი (კარიერა დაასრულა), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), მილს ოუდე-კამპუსი (ტვენტე), ებე სანდი (ბრონდბიუ);** შტუტგარტი ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიურნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი);** ფრაიბურგი დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპაიჩი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ტობიას ვილი (სამოყვარულო გუნდიდან), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი);** ვერდერი იენს ტოდტი (შტუტგარტი); **ფრანკ ბაუმანი (ნიურნბერგი);** ჰანზა ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), იენს დოვე (რაპიდი, ვენა); **რენე შნაიდერი (დორტმუნდი), აბდელაზიზ აჰანფუფი (უნტერჰახინგი);** აინტრახტი თომას სობოჩიკი (კაიზერსლაუტერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იშტვან პისონტი (ჰაპოელი), დამირ სტოიაკი (ნაპოლი), ზვოლტ პეტრი (კავალა), ტორე პედერსენი (უიმბლდონი), ბურჰანეთინ კაიმაკი (იზმირი), საშა ამშტეტერი (ურდინგენი), ტორსტენ ფლიკი (საარბრუკენი); **ბაშირუ სალუ (დორტმუნდი), ეროლ ბულუტი (ფენერბაჰჩე), ჰორსტ ჰელდტი (მიუნხენ 1860), პატრიკ ფალკი (ლევერკუზენი), როლფ-კრისტელ გუიე-მიენი (კარლსრუე), ტორსტენ კრახტი (ბოხუმი);** არმინია ჯუზეპე რეინა (დორტმუნდი), ჰენრიკ ბალუშინსკი, სვენ ბოი (ორივე ბოხუმი); **მარსიო ბორჯესი (ვალდჰოფი), დირკ ვან დერ ვენი (ურდინგენი), კრისტიან საბა (ჰერტა), მარკუს ვაისენბერგერი (ლინცერი);** უნტერჰახინგი მატიას ლუშტი (ბოხუმი), აბდელაზიზ აჰანფუფი (ჰანზა), მიხაელ შპისი (ლიუბეკი); **ლუდვიგ კოგლი (ლუცერნი), ოლივერ შტრაუბე (ჰამბურგი), დანიშ შვარცი (კარლსრუე), დენის გრასოვი (კიოლნი);** ულმი ფრიც ვალტერი (კარიერა დაასრულა), ივიცა პირიჩი (ჰაიდუკი); **რუი მარკეში (ბენფიკა), რაინერ მარინგერი (კარლსრუე)**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. II წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4.08 | ვალეტა (მალტა) — რაპიდი (ავსტრია) | (25,0- —) | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| | სლოვანი (სლოვაკეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | რიეკა (ხორვატია) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (4,0-1,15) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | მოლდე (ნორვეგია) — ცსკა (რუსეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ვიძევი (პოლონეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი) | (5,0-1,1) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | რეინჯერსი (შოტლანდია) — ჰაკა (ფინეთი) | (— -50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ზიმბრუ (მოლდოვა) — დინამო (საქართველო) | ანგარიში — 5,0 | | | |
| | აიკ (შვედეთი) — დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) | (1,05-7,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ბრონდბიუ (დანია) — სლოგა (მაკედონია) | (1,02-10,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (1,7-1,7) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ჟალგირისი (ლიტვა) — დინამო (უკრაინა) | (15,0-1,01) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | მტკ (უნგრეთი) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) | (1,01-15,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | გენკი (ბელგია) — მარიბორი (სლოვენია) | (5,0-1,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | სკონტო (ლატვია) — რაპიდი (რუმინეთი) | (1,3-2,8) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინტერტოტო. ნახევარფინალი. II წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4.08 | იუვენტუსი (იტალია) — როსტსელმაში (რუსეთი) | (— -50,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | აუსტრია (ავსტრია) — რენი (საფრანგეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (2,8-1,3) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | პოლონია (პოლონეთი) — მეცი (საფრანგეთი) | (25,0- —) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | მონპელიე (საფრანგეთი) — დუისბურგი (გერმანია) | (1,3-2,8) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ჰამბურგი (გერმანია) — ტრაბზონი (თურქეთი) | (1,2-3,5) | 1,8 | 3,0 | 3,5 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.08 | ლე ავრი — მარსელი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ტრუა — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.08 | ლინცერი — გრაცერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ლუსტენაუ — ტიროლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ზალცბურგი — ბრეგენცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | შტურმი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.08 | ჩერნომორეცი — სპარტაკი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | შინიკი — როტორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ალანია — ტორპედო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | კრილია — ნ. ნოვგოროდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | დინამო — სატურნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლოკომოტივი — ჟემჩუჟინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შვედეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.08 | იურგარდენი — ჰალმსტადი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.08 | კონგსვინგერი — ვალერენგა | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ნორვეგიის თასის მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.08 | ტრომსო — რაუფოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ბრანი — ოდ გრენლანდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 5.08 | ლინი — რუსენბორგი | 7,5 | 4,0 | 1,3 |

### კონფედერაციათა თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.08 | აშშ — საუდეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 4.08 | ბრაზილია — მექსიკა | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ქვეყნის ჩემპიონატები

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

**რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს**

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

**რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს**

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტეზსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე. დააზუსტეთ**

# რუსებს გრძელი ხელები აქვთ

„მეგონა სამოვარი ან რაიმე ტიპიური რუსული სუვენირი იქნებოდა, მაგრამ შოკში ჩავვარდი, ყუთში ფული იდო" — წერს „მანჩესტერ იუნაიტედის" რაინდი (წოდება ბრიტანეთის დედოფლისგან მიიღო) მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ავტობიოგრაფიულ წიგნში „საკუთარი ცხოვრების წვრთნა", რომელსაც გაზეთი „ტაიმსი" აქვეყნებს.

ფერგიუსონმა ყუთი „ოლდ ფრეფორდზე" წაიღო და სეიფში ჩაკეტა, ერთი ხნის შემდეგ კი კლუბის პრეზიდენტს, მარტინ ედუარდსს სთხოვა გამომყევიო და ისევ მივიდა კაცთან, რომელმაც სასტუმროში „საჩუქარი" მიართვა. რაინდი ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან მექრთამე არ გახლავთ. მას არ სჭირდება „შავი ფული" თუნდაც ის 65 ათასი დოლარის ტოლფასი 40 ათასი გირვანქა იყოს და ფაქტობრივად არაფრის გამო აძლევდნენ.

ფერგიუსონს და ედუარდს ფულის დაბრუნება გაუჯანჯლდათ. „ის" არ იბრუნებდა, საძაგლად იქცეოდა და მოითხოვდა მანჩესტერელებს დაუყოვნებლივ შეესრულებინათ პირობა — რუსი ფეხბურთელი ანდრეი კანჩელსკისი „ევერტონისთვის" მიეყიდათ.

„ეს უკვე აუტანელი ხდებოდა... მან ედუარდსს ღრიალი დაუწყო, თუ ტრანსფერს ახლავე არ განახორციელებ, დილანს ველარ იცოცხლებო. მუქარის სერიოზულობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. ჩვენდა საბედნიეროდ შეხვედრა მალე დაამთავრა" — წერს ფერგიუსონი.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ანდრეი კანჩელსკისი მართლა გადავიდა „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ევერტონში". ტრანსფერის საფასური 5 მილიონი გირვანქა გახლდათ.

აგენტი, რომელმაც ფერგიუსონს ქრთამი მისცა, ხოლო ედუარდსს მოკვლით დაემუქრა, რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი წამყვანი ჩინოვნიკი გრიგორი იესაულენკო გახლდათ (აღსანიშნავია, რომ იგი ფიფას აგენტთა სიაში არ არის), სამშობლოში დღემდე პატივცემული კაცი. მას „სპარტაკის" ფეხბურთელთა კონტრაქტების საქმე აბარია და სხვა თანამედროვე ფეხბურთელებსაც წარმომადგენლად უდგას. მაგალითად, მისი კლიენტია სერგეი იურანი.

ისტორია, ფერგიუსონს ავტობიოგრაფიაში რომ აღუწერია, ოთხი წლის წინ მოხდა.

ბუნებრივია, სერ ალექსის მიერ ფარდაახდილ ამბავს



ალექს ფერგიუსონი

გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ფერგიუსონს ამ, ერთი შეხედვით ძველი ამბის შესახებ მსჯელობა შესთავაზა.

„ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, რა შეემთხვა სერ ალექსს ინციდენტის შემდგომ რამდენიმე დღეში, შემდეგ კი დასკვნებს ფიფას გავუგზავნით, რადგან საქმე მის იურისდიქციას განეკუთვნება." — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა ადრიან ბივინგტონმა.

ფიფას პრესმდივანმა კი თავის მხრივ თქვა:

„სანამ ინგლისელები ჩვენთვის აუცილებელ და საკმარის მასალებს არ მოიპოვებენ კომენტარს ვერ გავაკეთებთ."

# ბიჭი ფილმისთვის



დევიდ ბექემი

„სანდი მირორმა" ატეხა ხმაური: იტალიური „ფიორენტინა" ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს" დევიდ ბექემს სთხოვს და სანაცვლოდ არნახულ თანხას, 56,7 მილიონ დოლარს სთავაზობსო. გაზეთი წერდა, რომ ფლორენციის გუნდის მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის ბექემის ყიდვა მისმა არგენტინელმა ფორვარდმა, გაბრიელ ბატისტუტამ სთხოვა.

„სანდი მირორს" მოჰქონდა ტრაპატონის ციტატა: „ბექემის იტალიაში გადმოსაყვანად გულუხვი წინადადება მოვამზადეთ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა" მის გაყიდვაზე უარი გვითხრა".

იქვე ეწერა ბატისტუტას სიტყვებიც: „ბექემის ყიდვა კლუბს მე შევთავაზე. ვუთხარი რომ ამ საქმეში ფულის დანანება არ შეიძლება. ბექემი რომ ჩემს გუნდში იყოს, სეზონში რაც გამაქვს, იმაზე ათით მეტ გოლს გავიტანდი. მსოფლიოს ნახევარმცველთა შორის ყველაზე დიდ პატივს მას ვცემ და ვფიქრობ რომ მაღალი პასის ჩაწოდებაში უბადლოა".

ბუნებრივია ინგლისური გაზეთის სენსაციური ცნობა კომენტარს მოითხოვდა. კომენტარი ასეთი გამოდგა.

„ის, რაც „სანდი მირორს" ჩემს სიტყვებად მოაქვს, არასდროს მითქვამს. ბექემზე კი რა მოგახსენოთ, იქნებ ჩვენი კლუბის პრეზიდენტს ეს ბიჭი ფილმისთვის სჭირდებოდა" — განაცხადა ტრაპატონიმ.

შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინას" პრეზიდენტი, ვიტორიო ჩეკი გორი იმავდროულად კინოპროდუსერიცაა.

# «სუფთა» საფეხბურთო სტადიონი ნიჟნი ნოვგოროდში

ნიჟნი ნოვგოროდის რაიონ ავტოზავოდსკში „სუფთა" საფეხბურთო სტადიონი „პიონერი" ააშენეს. ეს კომპაქტური შენობა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებითაა გარშემორტყმული და ყველანაირ თანამედროვე მოთხოვნას აკმაყოფილებს. ტრიბუნებზე, რომელზეც 8 000 მაყურებელი ეტევა, მთლიანად პლასტიკური სავარძლებია დამონტაჟებული. სტადიონს უმაღლესი ხარისხის განათება და გერმანული ბალახის საფარი აქვს. საინტერესო ისაა, რომ ამ მინდორზე ითამაშებს არა ქალაქის მთავარი გუნდი „ლოკომოტივი", არამედ რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე „ტორპედო-ვიკტორია". სტადიონი სააქციო საზოგადოება „გაზს" აუშენებია.

ახალი შენობის დამთავრება ოლქის გუბერნატორ ივან სკლიაროვს თავსებურად აღუნიშნავს და „ტორპედო-ვიკტორიისთვის" 500 ათასი რუბლი გამოუყვია.

# ანჩხლი ნიკოლას საქმე დასასრულს მიუახლოვდა

ნიკოლა ანელკას დაუსრულებელი და მომაბეზრებელი ისტორია ბოლო ცნობების თანახმად, დასასრულს უახლოვდება. 35,3 მილიონი დოლარი — ეს გახლავთ თანხა, რომელსაც მადრიდის „რეალი" უხდის ლონდონის „არსენალს", ჯიბრში ჩამდგარი ფეხბურთელის სანაცვლოდ. ყველაფერი ამ კვირაში მოგვარდება.

„საქმე გაჩარხულია" — უთხრა მადრიდელთა პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა ესპანური გაზეთის „მარკას" კორესპონდენტს — „მართალია, ხელშეკრულების პირობები და პუნქტები ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ მოლაპარაკების დროს პრობლემები არ წარმოიშვება. „არსენალმა" ფაქსი გამოგვიგზავნა, სადაც წერია, რომ კლუბი თანახმაა, 20 წლის თავდამსხმელი ჩვენ მოგვყიდოს. ასე რომ, ანელკა უკვე მადრიდელად შეგიძლიათ ჩათვალოთ".

„მარკა" წერს, რომ სანსი ლონდონში ოთხშაბათს ჩავა და ხელს მოაწერს ესპანელთა „სამეფო კლუბის" ისტორიაში ყველაზე ძვირ გარიგებას. აბა სად ანელკაში გადასახდელი თანხა და სად 15,35 მილიონი დოლარი, რომელიც მადრიდელებმა ცოტა ხნის წინ თურქულ „ფენერბაჰჩეს" ბოსნიელი ელვირ ბალიჩის სანაცვლოდ გადაუხადეს.

გაზეთი აგრეთვე წერს, რომ ლონდონელები თანახმანი არიან, სატრანსფერო თანხა სამ ნაწილად მიიღონ, ოღონდ პირველი მყისიერად უნდა ჩაერიცხოთ.

რაც შეეხება საკუთრივ ანელკას პირობებს, როგორც ამბობენ, „რეალი" მას შვიდწლიან ხელშეკრულებას უფორმებს და სეზონში 1,93 მილიონ დოლარს ჰპირდება. ამრიგად, ყმაწვილკაცი კრისტიან ვიერის შემდეგ მეორე იქნება ძვირად გაყიდულ ფეხბურთელთა სიაში და ჯიბესაც, თვითონ რომ უნდოდა, ისე გაისქელებს. შეგახსენებთ, რომ რომის „ლაციოსთან" ლამის იყო მოგვარებული საქმე ივლისში სწორედ იმიტომ ჩაიშალა, რომ ანელკას იქ შეთავაზებული ჯამაგირი ეცოტავა.



ნიკოლა ანელკა

შეგახსენებთ იმასაც, რომ გასულ პარასკევს „არსენალის" გაბრაზებულმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა საფრანგეთში მყოფ ანელკას შეუთვალა, შეგიძლია ლონდონში აღარ დაბრუნდე, შენი დანახვაც არ მინდაო, რადგან ერთობ უტიფარმა ზანგის ჭაბუკმა ერთი კვირით ადრე ყურადაც არ იღო პედაგოგის მოწოდება, ჩამოდი, მუშაობა განვაგრძოთო.

„მთელი ეს ამბავი დიდ დროსა და ენერგიას მაკარგინებს, რისი სურვილიც არ მაქვს. არ ჩამოვა და პენისაც არ მიიღებს, მორჩა და გათავდა" — ამბობდა ვენგერი, ბოლოს კი, ეტყობა, ამდენ ჩხუბსა და დავიდარაბას ისევ საკითხის მარტივად გადაწყვეტა არჩია, ანელკა „რეალს" დაუთმო.

# ოუენი ცოტას მოიცდის

ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „ლივერპულმა" განაცხადა, რომ გუნდის უპირველესი თავდამსხმელი მაიკლ ოუენი ჩემპიონატის პირველ ტურს გამოტოვებს.

— მაიკლი უკვე ვარჯიშობს. საგანგებო კურსიც გაიარა, თუმცაღა ჯერჯერობით მას მაინც ვერ დავეყრდნობით — განაცხადა „ლივერპულის" ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ. მისივე თქმით, ოუენი სავარაუდოდ აგვისტოს შუა რიცხვებში დაბრუნდება.



მაიკლ ოუენი

— უკვე გადაწყვეტილია, რომ ოუენი შაბათს არ ითამაშებს. ასე აჯობებს მისთვისაც და ჩვენთვისაც. არ გვსურს, მას ტრავმა გაუმიზეზდეს და კიდევ გაურკვეველი ვადით გამოგვაკლდეს — ისევ ულიე.

მას შემდეგ, რაც აპრილში, ლიდსელებთან ფრედ 0:0 დასრულებულ შეხვედრაში ოუენმა მყესები და ფეხის კუნთები დაიზიანა, მას აღარ უთამაშია. ინგლისის ბოლო ორი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ორი შესარჩევი შეხვედრაც გამოტოვა შვედეთთან და ბულგარეთთან.

ჭოტე ვაიტაძე

# გახდება ჩუბინიძე აზოტელი?

ქართული საკალათბურთო კლუბებიდან მზადებას პირველი რუსთავის „აზოტი“ შეუდგა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, შარშანდელის დარად ევროპაზე წლეულსაც ერთი გუნდით, კვლავაც „აზოტით“ წარვდგებით და კორაჩის თასის გათამაშებაში „ბკ კიევთან“ შესახვედრად რუსთაველებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი.

გუნდი 30 ივლისს შეიკრიბა რუსთავში. კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელ-მოთამაშეებს უახლოეს გეგმებზე ესაუბრა და მეორე დღიდანვე ქვეყნის ორგზის ვიცე-ჩემპიონებმა ვარჯიში განაახლეს. ჯერ აქ, რუსთავში ივარჯიშეთ, მერე კი ჩვენ ვიცითო, უთქვამთ კალათბურთელებისთვის „აზოტის“ თავკაცებს იმ იმედით, რომ სულ მალე თანხებს გამონახავენ და გუნდს შეკრებას მოუწყობენ.

როგორც გუშინ რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ გვითხრა, გუნდი ჯერ მანავში გაივლის ორკვირიან მზადებას, სადაც მოთამაშეები ფიზიკურ კონდიციებს აიმაღლებენ. ამის შემდეგ „აზოტი“ ურეკში გადაინაცვლებს და ძირითადად ტაქტიკურად გამეცადინდება. გეგმები, იცოცხლეთ, კარგი გვაქვს, მაგრამ ფული ჯერჯერობით არ ჩანს და ვიმედოვნებ, დღე-დღეზე ეს პრობლემაც მოგვარდებაო — გვითხრა მწვრთნელმა.

ხმელიძისგანვე შევიტყვეთ, რომ საკორაჩოდ გუნდი გაძლიერებას აპირებს. თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა დინამოელების — ირაკლი ხოშტარიასა და ვალერი კილაძის საკითხი. ალბათ, ეს ორივე კალათბურთელი „ბკ კიევთან“ ორრაუნდიან დუელში შეგვეშველება — ესეც ხმელიძის სიტყვებია.

ამათ გარდა საუბარია ვითელ ზურაბ ჩუბინიძეზეც, რომელთანაც „აზოტს“ პირადად ჯერ არ უსაუბრია. სამაგიეროდ, „ვითასთან“ წინასწარი შეთანხმებისთვის მიუღწევია და დიდი შანსია, ჩუბინიძეც რუსთაველთა რიგებში ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს „აზოტი“ მესამედ მოსინჯავს ძალას კორაჩის თასზე. რუსთაველთა წინა ორი ცდა წარუმატებელი გამოდგა, ორი მატჩის ჯამში გუნდი ჯერ ესტონურმა „ფაიერსმა“ გამოთიშა ასპარეზობიდან, შარშან კი „აზოტს“ უკრაინული „შახტიორი“ გადაელობა. პირველივე ეტაპზე მარცხი რომ არა, რუსთაველები ჯგუფურ ტურნირში გააგრძელებდნენ ბრძოლას.



ზურაბ ჩუბინიძე

ასევე ჯგუფში მოხვდება „აზოტ“ — „ბკ კიევის“ წყვილში გამარჯვებულიც. პირველი შეხვედრა 15 სექტემბერს თბილისში გაიმართება, საპასუხო კი — ერთი კვირის შემდეგ კიევში.

**გიორგი გიქაშვილი**

# ევროპაში რუსთავის გავლით



ირაკლი ხოშტარია

ჯერ კიდევ მანამ, სანამ ირაკლი ხოშტარიას რუსთავის „აზოტში“ შესაძლო გადასვლაზე ალაპარაკდებოდნენ, ვიცოდით, რომ მერვე ჩემპიონატის დასრულებისთანავე თბილისის „დინამო“ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. მათ შორის საქართველოს ნაკრების უკანახაზელი ხოშტარიაც იყო, მაგრამ თავად ირაკლის უფრო ევროპისკენ ეჭირა თვალი და ამიტომ რუსთაველთა მთავარი მწვრთნელ ოთარ ხმელიძის ნათქვამი, ხოშტარია კორაჩის თასზე „აზოტს“ დაეხმარებაო, ჩვენთვის ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო.

არა, ხოშტარიას გააზოტელებაში უჩვეულოც არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ სექტემბერში (როცა „აზოტს“ „ბკ კიევთან“ თამაშები უწევს) თითქმის მთელ ევროპაში სატრანსფერო სეზონი დახურული იქნება და მერე ირაკლისაც უფრო ძლიერი საკალათბურთო ქვეყნის კლუბში მოწყობა ძალიან გაუჭირდება.

ასეა თუ ისე, ეს მხოლოდ ვარაუდია, თანაც ხოშტარია იმედს არ კარგავს და ამბობს, „აზოტს“ მხოლოდ კორაჩის თასზე შევეშველები, მერე კი სხვაგან წასვლას ვეცდებიო.

ამჟამად შვებულებაში მყოფ ირაკლი ხოშტარიას გუშინ მშობლიურ სამტრედიაში დავუკავშირდით:

— „ჯერჯერობით ვისვენებ. „აზოტს“ ორიოდ დღის წინ ველაპარაკე და ყველაფერზე შევთანხმდით. თუ რუსთაველებს მანავში ვერ ჩავუსწრებ, ურეკის შეკრებაზე აუცილებლად შევუერთდები და კორაჩის თასზე სათამაშოდ მათთან ერთად მოვემზადები.

რუსთავში დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებ. არის ერთი-ორი კარგი წინადადება. იქნებ კარიერა ევროპაშიც გავაგრძელო. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს და რა გამოვა, არ ვიცი.

ისე, „აზოტშიც“ კარგი შანსი მეძლევა, საკუთარი შესაძლებლობები უფრო მეტად გამოვავლინო. თუ „ბკ კიევის“ დამარცხება და ჯგუფში მოხვედრა შევძელით, არ გამოვრიცხავ, უფრო სარფიანი წინადადება მივიღო. ვნახოთ, ყველაფერი მაინც მომავლის საქმეა“.

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

*1 აგვისტოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაიხსნა თავისუფალი აგენტების ბაზარი. პირველსავე დღეს რამდენიმე კონტრაქტისგან ხელფეხგახსნილმა მოთამაშემ ახალი კონტრაქტები გააფორმა. ზოგიერთმა გუნდმა კი ზოგიერთი მოთამაშის სამსახურზე უარი თქვა.*

1 აგვისტო

**ნიუ ჯერსი ნეთსი:** შეინარჩუნა ფორვარდი ჯეიმი ფეიკი (მრავალწლიანი კონტრაქტი).

**ფილადელფია 76:** შეინარჩუნა უკანახაზელი ერიკ სნოუ და ფორვარდი ჯორჯ ლინჩი.

**ფინიქს სანზი:** აიყვანა „საკრამენტო კინგზის“ ყოფილი ცენტრი ოლივერ მილერი (ერთწლიანი კონტრაქტი); შეინარჩუნა ფორვარდი კლიფორდ რობინსონი (მრავალწლიანი კონტრაქტი).

**საკრამენტო კინგზი:** უარი თქვა უკანახაზელებზე მაიკლ ჰოკინსსა და კრის რობინსონზე, აგრეთვე ცენტრებზე ჯერომ ჯეიმსსა და ოლივერ მილერზე (ფინიქსში გადავიდა).

**იუტა ჯაზი:** შეინარჩუნა ფორვარდი კარლ მელოუნი.

# მელოუნი ოთხი წელი ჯაზს დაუკრავს

## ეს შაბაში 67 მილიონი ღირს

თავისუფალი აგენტების ბაზარი რამდენიმე წუთის გახსნილი იყო, რომ „იუტა ჯაზმა“ ახალი გარიგების თაობაზე გამოაცხადა: კლუბმა თავისუფალ აგენტ კარლ მელოუნს ოთხწლიანი და 67-მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გაუფორმა.



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის უძვირფასესი მოთამაშე კარლ მელოუნი „ჯაზის“ ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდა

მელოუნი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უდიადესი კალათბურთელია, ორგზის უძვირფასესი მოთამაშეა. ამგვარ კალათბურთელს, ცხადია, ხელფასიც დიდი ეკუთვნის, ოღონდ... კარლი ერთი კვირის წინ გახდა 36 წლის და ახალი კონტრაქტის ერთადერთ შემაფერხებელ გარემოებად სწორედ ამას მიიჩნევდნენ. საბოლოო სიტყვა „ჯაზის“ მფლობელს ლარი მილერს ეკუთვნოდა, რომელმაც არაფერზე დაიხია უკან, მელოუნს ოთხ წელიწადში 67 მილიონი შესთავაზა და, როცა დასტური მიიღო, დასძინა: „ამაზე ძვირი კონტრაქტი ჩვენი კლუბის ისტორიას არ ახსოვს და, მართებულია, რომ იგი კარლს ერგო“.

მელოუნის წინა კონტრაქტიც ოთხწლიანი იყო, ოღონდ მის მიხედვით კარლმა ჯამში 20,2 მილიონი აიღო. ახლა კი: „დიდი მადლობა „ჯაზის“ ხელმძღვანელობას. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის. ლუიზიანის შტატის დაბალი ფენებიდან ოდესღაც წამოსულმა ბიჭმა, დღეს ამგვარ დიდ კონტრაქტს მოვაწერე ხელი“ — ეს თავად კალათბურთელის სიტყვებია, რომელმაც ბოლო სეზონში 49 მატჩი ითამაშა (ერთი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა) და საშუალოდ 23,8 ქულა, 9,4 მოხსნა, 4,1 პასი და 1,27 ჩაჭრა გააკეთა.

„ჯაზის“ ვიცეპრეზიდენტი სკოტ ლეიდენი გარიგებით აღტაცებული იყო და გაიძახოდა, საუკეთესო თავისუფალი აგენტი ისევ ჩვენთან იქნებაო. ლარი მილერმა კი მთლად მოხსნა გულს პირი: „შეუძლებელია ციფრებით შეაფასო მელოუნის მიერ კლუბისთვის გაწეული შრომა. ასევე შეუძლებელია კლუბის და კალათბურთელის ურთიერთობების შეფასება. მეტიც, მე და კარლს, ჩემს და მის ოჯახებს, მამაშვილური ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. მელოუნთა შესანიშნავ ოჯახს ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია“.

სანამ უფროსები ენამზეობდნენ, რეალისტი მელოუნი მომავალ სეზონზე მსჯელობდა: „დღეს ვზეიმობ, მაგრამ ხვალიდან ვარჯიში იწყება და იგი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო ჩემი უმთავრესი მიზნის მიღწევისთვის. ჩემი მიზანი ჩემპიონობაა. ვერ ვიტყვი, რომ მომავალ სეზონში ამას აუცილებლად მივაღწევ, მაგრამ, ფაქტია, ამისთვის მზად უნდა ვიყო და ყველაფერი უნდა გავიღო“.

„იუტა ჯაზს“ კიდევ დარჩა თავისუფალი აგენტები: ჯონ სტოქტონი, ჯეფ ჰორნაჩეკი და შენდონ ანდერსონი. მათი გუნდში დარჩენის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია.

# ევროპული ტრანსფერები

## თურქეთი

### ქუთლუაი ფენერბაჰჩეში დარჩა

დასრულდა თურქეთის ნაკრების და სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ 26 წლის ფორვარდის იბრჰიმ ქუთლუაის ცრუ ოდისეა. ცრუ იმიტომ, რომ დაყრილი ხმების, ვარაუდების და სურვილების მიხედვით ქუთლუაის ჯერ მთელი თურქეთი, მერე ევროპა და, ბოლოს, მსოფლიო მოატარეს; სინამდვილეში კი არც არაფერი მომხდარა და კალათბურთელი მომავალ სეზონს კვლავ „ფენერბაჰჩეში“ გაატარებს.

ქუთლუაის გაყიდვის ბოლო მცდელობა წინა კვირის მიწურულს იყო — „ეფესის“ პრეზიდენტი თუნჯაი ოზილჰანი და „ფენერბაჰჩეს“ საკალათბურთო საქმეთა უფროსი ოსმან იალჩინი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა. „ფენერბაჰჩეს“ სხვა აღარაფერი დარჩენოდა — ქუთლუაის ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის თანახმადაც მოთამაშე ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

### ეფესი ძველებისგან იცლება

სტამბოლის „ეფესის“ ალმასვლა მაშინ დაიწყო, როცა მის ხერხემალს შეადგენდნენ მაკედონიელი პეტარ ნაუმოსკი, ამერიკელი ლარი რიჩარდსი და სამი ახალგაზრდა თურქი: თამერ ოიგუჯი, უფუკ სარიჯა და ვოლქან აიდინი.

თურქთაგან პირველი ოიგუჯი გამოეთხოვა „ეფესს“ — წინა წელს „ბეშიქთაშში“ გადავიდა. მის კვალს სარიჯა გაჰყვა, ოღონდ სტამბოლის სხვა გუნდში, „ულქერში“ გადავიდა. ეს ამბავი ივლისში მოხდა. ახლა კი აიდანის დრო მოვიდა. „ეფესმა“ გამოაცხადა, რომ ყიდის კალათბურთელს და ამ წინადადებას უმალვე გამოეხმაურა „ულქერი“.

198-სანტიმეტრიანი ვოლქან აიდინი ფორვარდია. იგი შეცვლაზე შემოსულ მოთამაშეთა შორის თურქეთში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. 31 წლის კალათბურთელი მეტად სტაბილურია. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ერთ წუთს ათამაშებენ თუ ორმოცს, მოედანზე ყოველთვის მაქსიმალურად თავგანწირულია. ამბობენ, აიდინის „ულქერში“ გადასვლას წინ აღარაფერი დაუდგებაო.

# მრავალმხრივის მრავალმილიონიანი

1 აგვისტოს თავისუფალ აგენტთა ბაზარი კი გაიხსნა, მაგრამ „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ ამ დღეს არათავისუფალ აგენტთან, ანუ კონტრაქტით დაკავშირებულ კალათბურთელთან გააფორმა მეტად მნიშვნელოვანი ხელშეკრულება. ამ ახალი დოკუმენტის ძალით, ნიუჯერსელთა მრავალმხრივი ფორვარდი კეიტ ვან ჰორნი გუნდში კიდევ ექვს წელს დარჩება და ამ ხანში 74 მილიონ დოლარს მიიღებს.

ახალი კონტრაქტი 1999-2000 წლების სეზონის დამთავრებისას შევა ძალაში. ამ სეზონში კი ვან ჰორნს 2,8 მილიონი დოლარი ეკუთვნის — ეს იმ სამწლიანი კონტრაქტის მიხედვით, რომელიც მან 1997 წელს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოსვლისას დაუდო „ნიუ ჯერსის“.

„აღტაცებით ვაცხადებ, რომ ვან ჰორნი კიდევ ექვს წელს გაატარებს „ნეთსის“ საკალათბურთო ოჯახში. კეიტის კონტრაქტი კლუბის უმთავრესი საზრუნავი იყო სეზონთაშორის პერიოდში“ — აღნიშნა „ნიუ ჯერსი ნეთსის“ პრეზიდენტმა მაიკლ როუვმა.

208-სანტიმეტრიანი ვან ჰორნი 1997 წლის დრაფტში მეორე ნომრად აირჩია „ფილადელფიამ“, მაგრამ მერე რვაკაციანი ვაჭრობის შედეგად კალათბურთელი „ნეთსში“ აღმოჩნდა. ორი სეზონის განმავლობაში იგი მატჩში საშუალოდ 20,5 ქულას და 7,4 მოხსნას აკეთებდა. ბოლო ჩემპიონატში მან 13 ორმაგი დუბლი მიითვალა, ნასროლი სამქულიანების 30 პროცენტი ჩააგდო, ხოლო მისი საჯარიმოების 86 პროცენტმა უწია მიზანს. 16 თებერვალს „დეტროიტს“ 35 ქულა ჩაუგდო, რითაც კარიერის რეკორდი დაიმყარა.

ახალი კონტრაქტის დეტალებს ვან ჰორნი საწვრთნელ შეკრებაზე ეცნობოდა. ხელმოწერის შემდეგ კი თქვა: „ძალიან მხიბლავს „ნეთსის“ სამომავლო პერსპექტივა. სტივენ მარბერის აყვანა იყო ბოლო ნაბიჯი ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ“.

ამავე დღეს „ნიუ ჯერსიმ“ შეინარჩუნა 203-სანტიმეტრიანი ფორვარდი ჯეიმი ფეიკი. წინა სეზონში მან მატჩში საშუალოდ 6,3 ქულა და 10,8 მოხსნა გააკეთა.




**აფრიკის ჩემპიონატი. 29 ივლისი - 6 აგვისტო. ანგოლა**

**I ჯგუფი**

30 ივლისი: მალი — ალჟირი 79:77, სენეგალი — კაბო ვერდე 57:54, ეგვიპტე — მაროკო 73:42

31 ივლისი: კაბო ვერდე — მალი 64:60, ალჟირი — მაროკო 58:35, ეგვიპტე — სენეგალი 62:53

1 აგვისტო: სენეგალი — მაროკო 74:57, ეგვიპტე — მალი 70:55, ალჟირი — კაბო ვერდე 74:72

**II ჯგუფი**

30 ივლისი: ანგოლა — სამხრეთ აფრიკა 85:25, ნიგერია — ტუნისი 71:56, კოტ დივუარი — მოზამბიკი (გადაიდო, გაიმართება 4 აგვისტოს)

31 ივლისი: ნიგერია — სამხრეთ აფრიკა 85:45, ანგოლა — მოზამბიკი 104:47, ტუნისი — კოტ დივუარი 2:0 (კოტ დივუარი არ გამოცხადდა)

1 აგვისტო: კოტ დივუარი — სამხრეთ აფრიკა 62:58, ტუნისი — მოზამბიკი 74:50, ანგოლა — ნინერია 64:57

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ბატუტზე ხტომა

# გოგოები კარგად ხტიან

## სკოლაც კარგად მუშაობს

საქართველოს ოთხი სპორტსმენი მონაწილეობდა ბატუტზე მხტომელთა რუსეთის ღია ჩემპიონატში, რომელსაც ამ დღეებში კრასნოდარი მასპინძლობდა. 1984-85 წლებში დაბადებულ გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) აღსაზრდელმა ელა აირაპეტოვამ, მეორე ადგილიც ამ სკოლაში მომეცადინემ, ვერიკო ბეგლარაშვილმა დაიკავა. ელამ და ვერიკომ სკოლაც და მათი მწვრთნელიც ვალენტინა კლიმოვა სინქრონულ ხტომებშიც გამოაჩინეს — ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

ამავე ასაკის ჭაბუკთა ტურნირში მეხუთე იყო ოლეგ გოგოლაძე, მასაც კლიმოვა ავარჯიშებს.

ამ მცირე ცნობას მცირევე, მაგრამ საგულისხმო დასკვნაც ეკუთვნის. ბატუტზე ხტომაში რუსეთი თავის სათქმელს ხმამაღლა, მსოფლიოს გასაგონად ამბობს და ამ სახეობაში ტრადიციებით მდიდარ ქვეყნადაც ითვლება, ასე რომ, იქ მიღწეული წარმატება უმნიშვნელო ამბავი არ გახლავთ. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ბატუტზე ხტომა უკვე ოლიმპიური სახეობაა და აგერ, 2000 წელს სიდნეიში დებიუტსაც აღნიშნავს. აქედან კი ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: ეს სკოლა, ეს გოგოები და მათი ჯგუფელ-თანასკოლელები ოლიმპიური პერსპექტივის მქონენი არიან, ამას კი ანგარიშის გაწევაც ეგების და დროული, წინდახედული დახმარებაც.

**მირანდა ზედელაშვილი**

რაგბი

# არგენტინა მენდესს ენდო

არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში დიდი არეულობაა. მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის დაწყებამდე ორი თვით ადრე თანამდებობიდან გაათავისუფლეს ნაკრების მწვრთნელი ხოსე ლუის იმჰოფი, რომელიც „პუმებს" 1996 წლიდან წვრთნიდა. იმჰოფის გაშვებაზე თვეზე მეტია, ლაპარაკობდნენ, თუმცაა ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ლუის გრადინი „ქირურგიული ჩარევისგან" თავს იკავებდა.

მწვრთნელის მიმართ უკმაყოფილების მიზეზი კი ბოლო ხანებში „პუმების" ხშირი მარცხი იყო.

ახალი მწვრთნელი, რომელიც სამხრეთამერიკელებს მსოფლიოს თასზე უთავკაცებს, ექტორ მენდესი იქნება. იგი ბოლო სამი წელი იმჰოფის თანაშემწედ მუშაობდა. ტელეკომპანია ESPN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ხოსე ლუის იმჰოფი ნაკრებში დარჩება და მწვრთნელთა საბჭოს წევრი იქნება, იმ საბჭოსი, რომელსაც მენდესი ახლად ჩამოაყალიბებს, რადგან ძველ წევრთა კვალიფიკაციის ეეჭვება. იმჰოფის გარდა ამ საბჭოში იქნებიან „პუმების" ყოფილი კაპიტანი აიტორ ოტანიო, ექტორ სილვა და ხოსე ფერნანდესი.

სამსოფლიოსთასო მზადებას არგენტინელები სამ დღეში შეუდგებიან პროვინციულ გუნდ „კორდობასთან" მატჩით, შემდეგ კი ბრიტანეთისკენ აიღებენ გეზს, სადაც შოტლანდიელებს და ირლანდიელებს შეერკინებიან. სწორედ ამ ტურნეს შემდეგ გაირკვევა იმ 22 მობურთალის ვინაობა, რომელთაც ქვეყნის ღირსებას დაცვას ანდობენ მსოფლიოს თასზე. მათ ექტორ მენდესი შეკრებაზე გამოძახებული 32 მოთამაშისგან შეარჩევს. სამწუხაროდ, ამ სიაში ვერ მოხვდა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, „ნორსჰემპტონის" ჰუკერი ფედერიკო მენდესი, რომელსაც აქილევსის მყესი აწუხებს და ოპერაციას საჭიროებს. საეჭვოა აგრეთვე პაბლო კამერლინკსის თამაშიც. მას მარჯვენა მხარი აქვს დაზიანებული.

**პაატა თოთაძე**

საწყლოსნო სახეობები

XXIV European swimming championships

ცურვა

# ჰოლანდიელის ოქროს აკიდო


REUTERS სტამბოლიდან

ელენა ჟუპინა

ექვსი ოქროს მედალი ერთ ევროპის ჩემპიონატზე.

ასეთი წარმატებისთვის ამგვარ ასპარეზობაში აქამდე მხოლოდ ორს მიუღწევია. ესენი იყვნენ გერმანელები მიხაელ გროსი და ფრანსისკა ვან ალმსიკი. პირველმა 1985 წელს სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მოიპოვა 6 ოქროს მედალი, ხოლო მეორემ 1993 წელს შეფილდში (ინგლისი) გაიმეორა მისი წარმატება.

ახლა ზოგი მიმომხილველი იხსენებს ლეგენდარულ ამერიკელ მარკ სპიტცს, ვინც 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიურ თამაშებზე შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა. ამბობენ, ვან დენ ჰოოგენბანდს 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ხელი რომ არ მოცროდა, სპიტცის რეკორდს გაიმეორებდაო.

მაგრამ აქ სპიტცის მიღწევების გახსენება უპრიანი არ უნდა იყოს. აბა, სად ევროპის ჩემპიონატი და სად ოლიმპიური თამაშები?! მსოფლიოს მრავალ აუზში კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მაგრამ ჰოლანდიელმა ოლიმპიურ თამაშებზე სულ მსოფლიოს რეკორდებიც რომ დაამყაროს, სპიტცის რეკორდს მაინც ვერ გაიმეორებს, რადგან ვან დენ ჰოოგენბანდს თანამემამულენი ესტაფეტებში მხარს ვერ აუბამენ, რაკილა საამისოდ ამერიკელთა ჰეგემონიის დამხობაა საჭირო, ოკეანისგაღმელები კი ამ ჭკუაზე სულაც არ არიან.

ოღონდაც, ეს ყოველივე ჰოლანდიელის ევროპული ჩემპიონატის ოქროს აკიდოს ბრწყინვალებას სულაც ვერ აფერმკრთალებს, მით უმეტეს, რომ მან სტამბოლში ოლიმპიური ჩემპიონებიც დაამარცხა და მსოფლიოსიც. თანაც ზოგ სახეობაში ევროპის რეკორდი დაამყარა, ზოგშიც მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა. ასე მოხდა, მაგალითად, 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში, სადაც ჰოოგენბანდმა და მისმა თანაგუნდელებმა მართალია, ყველას აჯობეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი კვარტეტი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ჰოოგენბანდმა ბრწყინვალედ გაცურა თავისი მონაკვეთი და უახლოესი მდევარი რამდენიმე კორპუსით ჩამოიტოვა. თანაც მან ეს ეტაპი ავსტრალიელ გრანტ ჰაკეტის „წმინდა" 200-მეტრიან დისტანციაზე დამყარებული მსოფლიო რეკორდზეც სწრაფად გაცურა და 1982 წელს ჯორჯო ლამბერტის მსოფლიოში საუკეთესო შედეგზე (1.45,53) უკეთაც — 1.45,20. ჰოლანდიელებმა ესტაფეტაც დიდი უპირატესობით მოიგეს (7.14,39), მაგრამ პირველ ეტაპზე მარტინ ცუიდვეგის ცრუ სტარტის გამო მათ დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს.

ფიშინთან მეორე იყო იტალიელთა კვარტეტი, მაგრამ პირველ და მეორე ეტაპს შორის (ემილიანო ბრემბილე და ანდრეა ბეკარი) წესის დარღვევის გამო მათაც დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს. ოქროს მედლები კი გერმანელებს (7.19,63) დარჩათ.

პიტერ ვან დენ ჰოოგენბანდმა და მისმა თანაგუნდელებმა ჩემპიონატის ბოლო გაცურვაში თავისას მაინც მიაღწიეს, როცა 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში იყოჩაღეს. (აქ ბოლო ეტაპზე (კროლით) სტარტი აიღო ჰოოგენბანდმა მაშინ, როცა მისი თანაგუნდელები გერმანელებს 1,53 წამით ჩამორჩებოდნენ. მობრუნებამდე ჰოოგენბადმა ჩამორჩენა 0,60 წამამდე შეამცირა, ფინიშზე კი გამარჯვება გერმანელებს აუზის კედელზე ხელის შეხებით გამოგლიჯა. ამასთან, ჰოლანდიელმა ამ ეტაპზე აჩვენა ძალიან კარგი შედეგი — 47,20, რაც 0,11 სჯობს ჩემპიონატის პირველ დღეს 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნაჩვენებ შედეგს. აქ მეორე იყო გერმანიის (3.40,15), ხოლო რუსეთისა და შვეციის გუნდებმა ერთნაირი შედეგი (3.41,18) აჩვენეს და ორივეს ბრინჯაოს მედლები გადასცეს.

კვირასვე ჰოოგენბანდმა ესტაფეტამდე რამდენიმე წუთით ადრე 50 მეტრზე კროლით ცურვაშიც გაიმარჯვა, სადაც ნახევარფინალში ევროპის რეკორდი დაამყარა და კიდევ ერთხელ აჯობა ოთხგზის ოლიმპიურ და სამგზის ევროპის ჩემპიონ ალექსანდრ პოპოვს, რომელმაც პროგრამის ამ ნომრისთვის საგანგებოდ დაზოგა ძალა და ესტაფეტაში თავი არ მოიკლა, მაგრამ...

ფინალში პოპოვი მხოლოდ მესამე (22,32) აღმოჩნდა. მეორე იყო იტალიელი ლორენცო ვისმარი (22,21), ხოლო ჰოლანდიელმა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შედეგით (22.06) გაიმარჯვა.

ამგვარად პიტერ ვან დე ჰოოგენბანდი გახდა მთელს მსოფლიოში პირველი მოცურავე, ვინც ერთსა და იმავე შეჯიბრებაზე 50 მეტრზეც გაიმარჯვა და 200-ზეც.

— პოპოვი დაუმარცხებელ მოცურავედ არასოდეს მიმაჩნდა. ახლა მე ბრწყინვალე ფორმაში ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შესაძლებლობები ეგზომ შეუზღუდავად ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი, — თქვა ჰოლანდიელმა 50 მეტრზე ცურვის ფინიშის მერე.

მაგრამ ჰოოგენბანდს ავიწყდება, რომ პოპოვი უკვე 28 წლისაა, რაც მოცურავისთვის ხანდაზმულ ასაკად ითვლება, თანაც ჰოლანდიელი რუსის წარმატებებთან ჯერ ახლოსაც ვერ მივა, თუმცა, შანსი, რა თქმა უნდა, აქვს.

კვირას სტამბოლის აუზში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა გერმანელმა სანდრა ფოლკერმა. ვინც 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში თავისივე მსოფლიოს რეკორდი დაამხო. მისი შედეგია 28,71.

იმავე დღეს დანიელმა მეტი იაკობსენმა ქალთა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი, მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ მან ამგვარ წარმატებას პირველად... 8 წლის წინათ მიაღწია.

## წყალში ხტომა

**დიდბრიტანელები** ამ დღეს 37 წელიწადს ელოდნენ. სწორედ მაშინ, 37 წლის წინათ ლაიპციგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრიტანელმა ფელპსმა კოშკიდან ხტომში ოქროს მედალი მოიპოვა და თავისი 1958 წლის წარმატება გაიმეორა. ფელპსი თავისი ქვეყნის ისტორიაში იყო პირველი ვაჟი წყალში მხტომელი, ვინც ევროპის ჩემპიონი გახდა. მანამდე ასეთი წარმატებისთვის ბრიტანელთაგან მხოლოდ ორ ქალს თუ მიუღწევია. მათგან პირველი იყო უაიტი, ვინც პირველსავე ჩემპიონატში (1927) გაიმარჯვა, ათი წლის მერე კი სლადემ გამოიჩინა თავი.

მესამე ბრიტანელი ჩემპიონის დაბადებას მთელ 20 წელიწადი დასჭირდა, მეოთხისას კი, როგორც ვთქვით, 37.

მეოთხე ჩემპიონი გახლავთ ტონი ალი, რომელმაც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამოიჩინა თავი.

ამ სახეობაში ოთხ ნახტომამდე ლიდერობდა რუსი დმიტრი საუტინი, რომელმაც მანამდე კოშკიდან ასპარეზობაში გაიმარჯვა, მაგრამ ტრამპლინზე თავისი მეოთხე და მეხუთე ნახტომები ისე ჩააფლავა, რომ ბოლოს პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა.

ბრიტანელმა ჩემპიონმა 415.62 ქულა მოაგროვა. მეორე იყო უნგრელი იმრე ლენგლი (402.30), ხოლო მესამე იუკკა პეიკანენი (395,70), რომელიც გახდა პირველი ფინელი წყალში მხტომელი, რომელმაც დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მედალი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს რუსებმა სვეტლანა ტიმოშინინამ და ევგენია ოლჩევსკაიამ სინქრონულ ხტომებში მესამე გამოსვლის მერე ხელთ იგდეს ლიდერობა და ბოლომდე შეინარჩუნეს, რითაც თავიანთ ქვეყანას საერთო ჯამში მეთერთმეტე და უკანასკნელი „ოქრო" მოუტანეს. მათ 274.46 ქულა დაუგროვდათ. შარშანდელ გერმანელ ჩემპიონთა დუეტი ლტე ვეტციგი — ანკე პიპერი (264,69) მეორე ადგილზე გავიდა, მესამე იყო ფრანგთა წყვილი — ოდილ არბოლეს-სუეონ და ჟიულ დანუს შემადგენლობით (254,94)

მართალია, ტიმოშინინა-ოლჩევსკაიას გამარჯვებით ოქროს მედლების საერთო ჯამში რუსეთი გერმანიას გაუთანაბრდა, მაგრამ ბოლოს ამ უკანასკნელებმა ცურვაში კიდევ ერთი ჩემპიონობა მოიპოვეს და „ვერცხლის და ბრინჯაოც" ხელს გამოაცალეს, რითაც კომპლექსურ ჩათვლაში უპირატესობით გამოირჩნდნენ.

გერმანელთა ყულაბაში, საერთო ჯამში, თავი მოიყარა 12 ოქროს მედალმა, 14 ვერცხლის და 11 ბრინჯაოს ჯილდომ. II ადგილზე გავიდნენ რუსები (შესაბამისად 11,9,5), ხოლო მესამეზე ჰოლანდიელები (9, 2, 2).

**ავთანდილ ჭყუიშელი**


REUTERS სტამბოლიდან

სანდრა ფოლკერი

### ქალები

გულაღმა. 50 მ
1 სანდრა ფოლკერი (გერმანია) 28.71 (მსოფლიო რეკორდი)
2 ნინა ჟივანევსკაია (ესპანეთი) 29.02
3 მეტკა სპარავეჩი (სლოვენია) 29.25

თავისუფალი სტილი. 200 მ
1 კამელია პოტეკი (რუმინეთი) 1.58,79
2 კერსტინ კიელგასი (გერმანია) 2.00,09
3 ნატალია ბარანოვსკაია (ბელარუსი) 2:00.18

ბრასი. 200 მ
1 აგნეს კოვაჩი (უნგრეთი) 2.27,12
2 ბეატრის კასლარუ (რუმინეთი) 2.27,80
3 ალისია პეჟეკი (პოლონეთი) 2.28,93

ბატერფლაი. 200 მ
1 მეტ იაკობსენი (დანია) 2.10,40
2 მარია პელაეზი (ესპანეთი) 2.11,49
3 ოტილია იედრზეიჟაკი (პოლონეთი) 2.11,60

თავისუფალი სტილი. 400 მ
1 კამელია პოტეკი (რუმინეთი) 4.08,09
2 კერსტინ კიელგასი (გერმანია) 4.08,57
3 იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.10,11

4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა
1 შვედეთი (ტერეზა ალშამერი, მარია ოსტლინგი, იოანა სიობერგი, მალინ სვენსტრიომი) 4.07,52
2 გერმანია 4.07,79
3 ბრიტანეთი 4.09,18

### ვაჟები

ბატერფლაი. 100 მ
1 ლარს ფროლანდერი (შვედეთი) 52.61
2 იამეს ჰიკმანი (ბრიტანეთი) 52.97
3 დენის სილანტიევი (უკრაინა) 53.04

თავისუფალი სტილი. 50 მ
1. პიეტერ ვან დენ ჰოოგენბანდი (ჰოლანდია) 22.06
2 ლორენცო ვისმარა (იტალია) 22.21
3 ალექსანდრ პოპოვი (რუსეთი) 22.32

გულაღმა. 200 მ
1 რალფ ბრაუნი (გერმანია) 1.59,74
2 გორდან კოზული (ხორვატია) 2.00,07
3 ემანუელ მერისი (იტალია) 2.00,50

4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა
1 ჰოლანდია (კლაას-ერიკ ზვერინგი, მარსელ ვოუდა, სტეფან აარსტენი, პიტერ ვან დენ ჰოოგენბანდი) 3.39,52
2 გერმანია 3.40,15
3 რუსეთი 3.41,18
3 შვედეთი 3.41,18

ესტაფეტა 4X200 მ თავისუფალი სტილი
1 გერმანია (კრისტიან კელერი, შტეფან პოლი, ლარს კონრადი, მაიკლ კიედელი) 7.19,63
2 ბრიტანეთი 7.19,91
3 რუსეთი 7.25,36

წყალში ხტომა. კოშკი
1 ელენა ჟუპინა (უკრაინა) 338.28 ქულა
2 დოლორეს საეზ დე იშარა (ესპანეთი) 329.22
3 სვეტლანა ტიმოშინინა (რუსეთი) 307.53

### ჩემპიონატის ყველა მედალი

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გერმანია | 12 | 14 | 11 |
| რუსეთი | 11 | 9 | 5 |
| ჰოლანდია | 9 | 2 | 2 |
| უკრაინა | 5 | 3 | 3 |
| შვედეთი | 3 | 5 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 4 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 |
| იტალია | 2 | 4 | 7 |
| რუმინეთი | 2 | 4 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 4 | 0 |
| დანია | 1 | 0 | 0 |
| ხორვატია | 0 | 3 | 0 |
| ისრაელი | 0 | 1 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 3 |
| ფინეთი | 0 | 0 | 2 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 |
| სლოვენია | 0 | 0 | 1 |
| სულ | 56 | 57 | 57 |

# თავიდან ბოლომდე იტალიური თავიდან ბოლომდე ფერარი!

კიდევ ერთი ასეთი რბოლა და „ფერარის“ ქომაგებს შეუძლიათ წინასწარ აღნიშნონ ამ პოპულარული გუნდის დაბრუნება იქ, სადაც წლების მანძილზე იდგა და სადაც ჭეშმარიტად მისი ადგილია — ფორმულა 1-ის მწვერვალზე.

კვირას ჰოკენჰაიმის რბოლის ფინიში ერთი-მეორის მიყოლებით გადაკვეთეს წითელმა ბოლიდებმა, ერთს ირვინი მართავდა, მეორეს — სალო.

ყველა რბოლას თავისი ფავორიტი ჰყავს, საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ კი — თავისი გმირიც. გერმანიის დიდი პრიზის გმირი ფინელი მრბოლი მიკა სალო გახდა. თუმცა, მოვყვეთ თავიდან.

შაბათის კვალიფიკაციაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ადგილები სპეციალისტების პროგნოზების მიხედვით განაწილდა. პირველი და მესამე პოზიცია „მაკლარენს“ ერგო, მეორე და მეხუთე — „ფერარის“. ოდნავ დაარღვია უკვე ტრადიციადქცეული განლაგება „ჯორდანის“ პილოტმა ფრენცენმა, რომელმაც სტარტზე ჰაკინენის გვერდით პირველ რიგში დადგომის უფლება მოიპოვა. სენსაციის მომავალი ავტორის მიკა სალოს მეოთხე პოზიცია ბევრმა, შესაძლოა, შემთხვევითობად მიიჩნია. სპორტში, რა თქმა უნდა, ხდება კურიოზები, ვილაცა აქაიქ მაინც გამოჰკრავს ხოლმე ხელს დაუმსახურებელ წარმატებას, მაგრამ შემთხვევითისა და დამსახურებულის გარჩევა დაკავებული ადგილისა და რბოლის ანალიზის მიხედვით მაინცდამაინც ძნელი არ არის.

კარგი სტარტი ჭადრაკში კარგად გათამაშებული დებიუტის ტოლფასია. კარგი მესტარტეობა მხოლოდ დიდი მრბოლების ხვედრია, რადგან ამ კომპონენტში საოცარ ალღოსა და რეაქციასთან ერთად საკმაოდ დიდი დოზით გამბედაობაც არის საჭირო. უცნაურია მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი — ფორმულა 1-ში ერთ-ერთ ულიმლამო პილოტად მიჩნეული, მუდამ მაჩანჩალას როლში მყოფი სალო ასებთან ჭიდილში ერთბაშად ორი პოზიციის მოგებას ახერხებს, თანაც სად, სტარტზევე! ჰაკინენი-სალო-კულჰარდი-ფრენცენი-ბარიკელო-ირვინი. ასეთი თანმიმდევრობით გაუდგა პელოტონი სამასკილომეტრიან გზას.

კვირას ამ გაზე, რომელიც ორმოცდახუთ წრეს ითვლის, ბევრი რამ მოხდა. არა, სპორტული თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევებს არ ვგულისხმობ, ეს რბოლა რაღაცით წინა, ავსტრიის დიდ პრიზზე რბოლასაც დაემსგავსა — მაყურებელმა ლიდერებს შორის ვერც ერთი ორთაბრძოლა ვერ იხილა — ოღონდ ერთი განსხვავებით — ავსტრიაში თავისივე პარტნიორის კულჰარდის წყალობით მეოცე ადგილზე გადასროლილმა ჰაკინენმა მეტოქეებზე ჩვიდმეტი (!) ბრწყინვალე შეტევა განახორციელა, რომელთაგან ჩვიდმეტივე წარმატებით დასრულდა. სპორტული თვალსაზრისით-მეთქი, როცა ვთქვი, სწორედ ამას ვგულისხმობდი, რადგან სასტარტო ორომტრიალის, მერე კი გადასწრებების გარეშე ფორმულა 1-ის რბოლები მოსაწყენზე მოსაწყენი სანახავი იქნებოდა.

ისე, მოხდენით მართლა ბევრი რამ მოხდა ჰოკენჰაიმის წრეზე. მრბოლებს სულ 20-25 კილომეტრი ჰქონდათ გავლილი, როცა წინა ანტიფერდის დაზიანების გამო გამარჯვებისთვის ბრძოლას გამოეთიშა კულჰარდი. შოტლანდიელს მალე ბარიკელოც მიყვა და ეულად დარჩენილ ჰაკინენს კვალში ფრენცენი და ორი „ფერარი“ ჩაუდგა.

დაახლოებით რბოლის შუაწელში ამ პატარა ამბებს დიდიც დაემატა. საბურავების გამოსაცვლელად ბოქსებში შესულ ჰაკინენს საწვავი საჭირო რაოდენობით ვერ ჩაუსხეს, მართალია შეცდომას იქვე მიხვდნენ, მაგრამ ვილაცის უთავობის გამო ლიდერს ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი დროის დაკარგვა მოუხდა. დანაკარგმა 16 წამი შეადგინა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „მაკლარენს“ ლიდერობა „ფერარებისთვის“ გადაელოცა (ფრენცენმაც სწორედ ამ, ბოქსებში შესვლა-გამოსვლის კომბინაციებს გადააყოლა მესამე ადგილი), რბოლამ, რომელიც საინტერესოს თითქოსდა აღარაფერს გვპირდებოდა, ახალი ინტრიგა შეიძინა. აქამდეც ყველაზე სწრაფი ჰაკინენი ახლაც ყველაზე სწრაფად მოძრაობდა და სულ რაღაც ორი-სამი წრის შემდეგ ორ „ფერარისა“ და ჰაკინენის „მაკლარენს“ შორის ერთობ საინტერესო ორთაბრძოლები უნდა დაწყებულიყო.

კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო. „მაკლარენებს“ ჯერ ავსტრიაში, ახლა კი გერმანიაშიც ფორტუნამ ერთი ადგილი უჩვენა. საბურავების ხეირიანად გახურებაც კი ვერ მოასწრო, როცა მიკას ბოლიდს უკანა ანტიფერდის საყრდენი გადაუტყდა, სწორეზე მიმავალი მანქანა რამდენჯერმე შემობზრიალდა, მერე ხრეშზე გასრიალდა და დამცავ ბარიერს შეეჯახა. საბედნიეროდ, პილოტს არაფერი დაშავებია.

ავარიამდე ცოტა ხნით ადრე „ფერარის“ პილოტებმა გაცვალეს ადგილები, ასე რომ ირვინს სალოს სახით შორიახლოს მშვენიერი დაცვა მიჰყვებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ზურგიდან შეტევის საშიშროება ფაქტობრივად ნულამდე დავიდა, სალო კვლავ წამოეწია ირვინს და ორივემ, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთი-მეორის მიყოლებით, მშვიდობიანად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი.

„ფერარის“ ეს წარმატება მით უფრო საამაყოა, რადგან თუ არ ვცდები, ეს ერთადერთი გუნდია, რომელიც საკუთარი ძრავით ასპარეზობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანა თავიდან ბოლომდე იტალიურია, თავიდან ბოლომდე — „ფერარი“.

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS ჰოკენჰაიმიდან

შარშანდელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენი წლეულს მიხაელ შუმახერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შესაბმელად ემზადებოდა, თავიდან ყველაფერი ასეც დაიწყო, მაგრამ... ფორმულა, აგერ, უშუმახეროდ დარჩა, ჰაკინენს კი ირვინმა გაუსწრო

## რბოლის შედეგები

**გერმანიის დიდი პრიზი**

1 აგვისტო. ჰოკენჰაიმი

დისტანცია — 45 წრე — 307.035 კმ

1. ირვინი (ფერარი)
   1:50.0,077 (224,723 კმ/სთ) 10 ქულა
2. სალო (ფერარი)
   ჩამორჩა 1,007 წმ — 6 ქულა
3. ფრენცენი (ჯორდანი)
   5,195 — 4 ქულა
4. რ.შუმახერი (უილიამსი)
   12,809 — 3 ქულა
5. კულჰარდი (მაკლარენი)
   16,823 — 2 ქულა
6. პანი (პროსტი)
   29,879 — 1 ქულა
7. ვურცი (ბენეტონი)
   33,333
8. ალეზი (ზაუბერი)
   1.11,291
9. ჟენე (მინარდი)
   1.48,318
10. ბადოერი (მინარდი)
   1 წრით

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი (1.45,270)

**ლიდერები**

| | |
|---|---|
| 1-24 წრე | ჰაკინენი |
| 25 | სალო |
| 26-45 | ირვინი |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ჰერბერტი (სტიუარტი) | გაიარა 40 წრე |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 37 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 25 |
| ძანარდი (უილიამსი) | 21 |
| ზონტა (BAR) | 20 |
| ტაკაჯი (ეროუსი) | 15 |
| ჰილი (ჯორდანი) | 13 |
| ტრული (პროსტი) | 10 |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 7 |
| ბარიკელო (სტიუარტი) | 6 |
| დინიცი (ზაუბერი) | 0 |
| ვილნევი (BAR) | 0 |

## განლაგება სტარტზე

15 ტაკაჯი 1.46,209 ეროუსი
11 ალეზი 1.45,962 ზაუბერი
14 დე ლა როსა 1.45,935 ეროუსი
20 ბადოერი 1.45,917 მინარდი
23 ზონტა 1.45,460 BAR
17 ჰერბერტი 1.45,454 სტიუარტი
12 დინიცი 1.45,335 ზაუბერი
21 ჟენე 1.45,331 მინარდი
5 ძანარდი 1.45,034 უილიამსი
10 ვურცი 1.44,522 ბენეტონი
22 ვილნევი 1.44,508 BAR
6 რ.შუმახერი 1.44,468 უილიამსი
9 ფიზიკელა 1.44,338 ბენეტონი
19 ტრული 1.44,209 პროსტი
7 ჰილი 1.44,001 ჯორდანი
18 პანი 1.43,979 პროსტი
16 ბარიკელო 1.43,938 სტიუარტი
4 ირვინი 1.43,769 ფერარი
3 სალო 1.43,577 ფერარი
2 კულჰარდი 1.43,288 მაკლარენი
8 ფრენცენი 1.43,000 ჯორდანი
1 ჰაკინენი 1.42,950 მაკლარენი

## FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | | | | | | | 52 |
| 2 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | | | | | | | 44 |
| 3 | **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | | | | | | | 33 |
| 4 | **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | | | | | | | 32 |
| 5 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | | | | | | | 30 |
| 6 | **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | | | | | | | 22 |
| 7 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | | | | | | | 13 |
| 8 | **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | | | | | | | 10 |
| 9 | **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | | | | | | | 6 |
| 10 | **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | 2 | – | – | | | | | | | 5 |

ვურცი (ბენეტონი), დინიცი (ზაუბერი) — 3 ქულა; ჰერბერტი (სტიუარტი), პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი) და ტრული (პროსტი) — 1

| | | ავსტრალია | ბრაზილია | სან მარინო | მონაკო | ესპანეთი | კანადა | საფრანგეთი | დიდი ბრიტანეთი | ავსტრია | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ევროპის დიდი პრიზი | მალაიზია | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | | | | | | | 90 |
| 2 | მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | | | | | | | 74 |
| 3 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | | | | | | | 38 |
| 4 | უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | | | | | | | 22 |
| 5 | ბენეტონი | 3 | – | 2 | 3 | – | 6 | – | – | 2 | – | | | | | | | 16 |

სტიუარტი — 12; ზაუბერი — 4; პროსტი — 3; ეროუსი — 1



REUTERS ლოს ანჯელესიდან

პიტ სამპრასი

# სამპრასს აგასი სიამოვნებს

ლოს ანჯელესი. აშშ. „მერსედეს-ბენცის თასი". ჰარდი საპრიზო 350 ათასი $

ამ ერთი კვირის წინ ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი, პირველად კარიერაში, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა, თუმცა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის წოდებით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა, სულ ერთი კვირა ედგა კაცთა კლასიფიკაციას სათავეში. მერე კი პირველობა სხვას გადაულოცა. ვინ იქნებოდა ეს სხვა, თუ არა პიტ სამპრასი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. მიმდინარე კვირა სამპრასისთვის პირველობის 271-ე კვირაა. ეს კი რეკორდია. ადრე ამ მხრივ უძლიერესს ივან ლენდლს 270 კვირა უბატონია და ეს რეკორდი, სხვებისთვის მიუწვდომელი, ამერიკელმა დაამხო.

პიტ სამპრასს პირველობის დაბრუნებისთვის ლოსანჯელესური ტურნირის ფინალში გასვლაც ჰყოფნიდა. პიტი ფინალშიც გავიდა და იქ თავის „დაუძინებელ მტერს" ანდრე აგასის პირში ჩალაც გამოავლო. ცალკე თემაა ამ გაამერიკელებული ჩოგბურთელების შეხვედრების ისტორია. სომხური ფესვებიდან ამოზრდილი აგასი პისტოლ პიტის, ტომით ბერძენის ყველაზე უხერხული მეტოქეა. ხოტორა აგასის ხუჭუჭა პიტისთვის ოცდახუთი შეხვედრიდან ათჯერ მოუგია და ხშირად საშინელ დღეში ჩაუგდია, თუმცა ამ ბოლო ხანებში სამპრასი უფრო მძლავრობს და ამ ერთ თვეში ორჯერ გაამწარა აგასი, ვინც ბოლო 19 მატჩში მხოლოდ ორი წააგო და ორივე სწორედ პიტთან. მან ჯერ უიმბლდონის ფინალში გაამწარა აგასი, ახლა კი ლოს ანჯელესშიც წაჰგლიჯა ხელიდან გამარჯვება. აგასის ძლევა სამპრასს, რა თქმა უნდა, ერთიორად მეტად უხარია და არც იმას მალავს, რომ მისი დამარცხება ყველაზე მეტად უჭირს: „ანდრე ყველაზე ძნელი მეტოქეა ჩემთვის, მაგრამ მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის დიდი სიამოვნებაა". ფინალური მატჩი ერთობ დაძაბულად წარიმართა. სამპრასის მძლავრი მოწოდება საქვეყნოდაა ცნობილი, აგასი კი საუკეთესო მიმღებად ითვლება, მაგრამ პიტმა 95-წუთიან მატჩში 11 ეისი მაინც გაახერხა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

ამით სამპრასმა მოიგო თავისი 59-ე ტურნირი და ამისთვის არცთუ ბევრი, სულ რაღაც 46000 დოლარი ერგო.

**ნახევარფინალი: ანდრე აგასი (1, აშშ) — ენრიუ ილიუ (ავსტრია) 6:4, 6:2; პიტ სამპრასი (2, აშშ) — ჯეიმს სეკულოვი (ავსტრალია) 6:0, 6:2**

**ფინალი: სამპრასი — აგასი 7:6 (7:3), 7:6 (7:1)**

კიცბიუელი. ავსტრია
GENERAL OPEN
საპრიზო 535 ათასი $

კიცბიუელის ტურნირი შარშანდელისა არ იყოს, დამთავრდა იმით, რომ ჯილდოს ამჯერადაც ესპანელი ჩოგბურთელი ალბერტ კოსტა დაეპატრონა, თან უკვე მესამედ. 24 წლის კოსტა აქ თამაშისას ნამდვილად ვერ დაემდურება ბედს, ტურნირზე ზედიზედ 15 შეხვედრა მოუგია და ორჯერ ზედიზედ ჩემპიონიც გამხდარა. ტურნირის ფინალში კოსტამ თვისტომი ფერნანდო ვისენტე დაამარცხა და დიდადაც გაიხარა, თუმცა არც დაუმალავს, რომ ვისენტეს წინააღმდეგობის დასაძლევად ბლომად ოფლი ღვარა. მართლაც, ორი პირინეელის ჭიდილი უფრო თვალსასეირო და დაძაბული გამოდგა, ვიდრე ნახევარფინალი მომავალი ჩემპიონისა და ექსპირველი ჩოგნის, სოჭელი ევგენი კაფელნიკოვის მონაწილეობით. პირველ ნომრად განთესილმა სოჭელმა ნახევარფინალში მეხუთე ნომერ კოსტას მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა, მაგრამ საწყისი სეტის ტაი-ბრეიკში წაგების შემდეგ ყურები და ხელები ჩამოყარა და ბედს შეეგუა. მის მძლეველს კი ფინალში კლასიფიკაციაში 57-ე, თანამემამულე ვისენტე ერგო, რომელმაც თავის მხრივ მასპინძელთა იმედი სტეფან კოსბი ბრძოლას საკმაოდ იოლად გამოთიშა. ვისენტე გასულ თვეში თავისი პირველი ტიტული მოიგო და ახლა აღმავლობის გზაზეა. ფერნანდოს მეორე ტიტულის მოგება. სერიოზულად გადაეწყვიტა და მასზე ბევრად გამოცდილ კოსტას უკომპრომისო ბრძოლა შესთავაზა, მესამე სეტის ტაი-ბრეიკში მოგებით თითქოს მატჩის ბედიც შემოაბრუნა. ფერნანდო არც მეოთხე სეტში იყო ჯაბანი, მომავალ ჩემპიონს გულოვნად ებრძოლა, კოსტას ოთხი მატჩ-პოინტიც გააფუჭებინა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეხუთე დათმო და ტიტულიც მეტოქეს გადაულოცა. „დღეს ძალიან გამიჭირდა — თქვა მატჩის შემდეგ კოსტამ — ფერნანდო ხომ გამუდმებით მეომებოდა. ძალიან ძნელია მის წინააღმდეგ თამაში, რადგან მე და ის დიდი მეგობრები ვართ, თუმცა როცა ვთამაშობთ, ამაზე ფიქრის დრო არ არის".

საერთოდ, ეს მე-11 ტიტულია კოსტას კარიერაში და მისი მოგებისთვის ესპანელმა თავის ჯიბეს 85500 დოლარი, ხოლო საკლასიფიკაციო ქულებს 250 შემატა.

**ნახევარფინალი: ალბერტ კოსტა (5, ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:2; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — სტეფან კოსბი (15, ავსტრია) — 6:4, 6:4.**

**ფინალი: კოსტა — ვისენტე — 7:5, 6:2, 6:7 (5:7), 7:6 (7:4)**

სტენფორდი. კალიფორნია
BANK OF THE WEST-ის პირველობა. ჰარდი.
საპრიზო 520 ათასი $

ამ უქმეებზე კიდევ ერთი ტურნირი დასრულდა და აქაც პირველობა პირველ ჩოგანს დარჩა. სხვაობა ისაა, რომ აქ ქალები ერკინებოდნენ ერთმანეთს და ტურნირის ჩემპიონობა ლინდსი დევენპორტმა არავის დაანება. ლინდსიმ საკმაოდ იოლად მიაღწია ფინალს და აქ 18 წლის შავი ვარსკვლავი ვინუს უილიამსი მოინელა. ახმახი ზანგი თავიდანვე საბრძოლველად იყო განწყობილი და წინა დღით ურცხვად დაიქადნა, კარგად ნახავთ, მაგ თქვენ დევენპორტს რა შავ დღესაც დავაყრიო, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზანგი გოგონას უტიფარ განცხადებას იმით უპასუხა, რომ მეორე დღეს თავად ჩააგდო შავ დღეში — პირველ სეტში ტაი-ბრეიკით მოუგო, მეორეში სულ კუდით ქვა ასროლინა და ვინუსთან პირადი შეხვედრების ანგარიში 7:1 გახადა. მატჩის შემდეგ კი მორცხვად უთქვამს, არა უშავს, კარგად ვითამაშეო. დევენპორტმა ეს ტურნირი შარშანაც მოიგო და წლევანდელი გამარჯვებაც ძალიან წაადგება კლასიფიკაციაში პირველი ადგილის გამყარებაში.

**მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:3, 6:3, ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) 6:1, 6:3, ამანდა კეტცერი (4, ს. აფრიკა) — სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) 2:6, 7:5, 6:2; ემი ფრეზერი (აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5, 6:0**

**ნახევარფინალი: დევენპორტი — ფრეზერი 6:0, 6:4; უილიამსი — კეტცერი 6:1, 6:4**

**ფინალი: დევენპორტი — უილიამსი 7:6 (7:1), 6:2**

**ივანე კოგიაშვილი**



# ალისამ უღრანში იხეტიალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიუ ჟუნი



ალისა გალიამოვა

ყაზანში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში უკვე ოთხი პარტია გათამაშდა. პირველი ხანგრძლივი ყაიმის შემდეგ მეორე პარტია სწრაფად, 28 სვლაში დამთავრდა. გალიამოვამ უცნობ სადებიუტო უღრანში დაიწყო ხეტიალი და სულ მალე გზაც დაებნა. სიუ ჟუნმა პაიკი შესწირა, ერთი ღონივრად შეუტია და ყველაფერი დაამთავრა. რევანში უკვე მესამე პარტიაში შედგა, რომელშიც გალიამოვა დომინირებდა და შედეგად, მატჩის ანგარიშიც გათანაბრდა — 1,5-1,5. გუშინდელი მეოთხე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია — 2:2.

კიდევ ერთიც: როგორც დავაზუსტეთ, მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებული იქნება არა სიუ ჟუნი, არამედ, ის, ვინც დამატებით 2 პარტიაში დაჯაბნის მეტოქეს.

# აკოფიანმა მაია დაგვიმარცხა

ლას ვეგასის სასტუმრო „სიზარს-პალასში" შაბათს ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, დაიწყო მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშების დედაქალაქში ყველა მოჭადრაკე ჯერაც არ ჩასულიყო. კარპოვმა რომ თამაში იუარა, მკითხველისთვის ცნობილია. ასევე თითქმის უეჭველი იყო ჟუჟა პოლგარის უარი, სამაგიეროდ, არცთუ მცირე გაოცება გამოიწვია მსოფლიოს მეოთხე საჭადრაკო ფიგურის, რუსი ალექსანდრ მოროზევიჩის ჩაუსვლელობამ იანკთა ქვეყანაში. თავად მოროზევიჩის მიერ გაზეთ „სპორტ-ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში მოყვანილი მიზეზები არც ისეთია, მოჭადრაკეს წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება რომ ჩაეგდო: ფიდე და მოროზევიჩი კონტრაქტის ორიოდ მუხლში ვერ შეთანხმდნენ, მოჭადრაკემ მათი გაუქმება მოითხოვა, რაზეც ფედერაციიდან ბრანწით უპასუხეს და აგერ, შედეგიც. და კიდევ: ჩემპიონატმა მოისაკლისა ძლიერი იუგოსლაველი მოჭადრაკეც, დრაგოლიუბ ველიმიროვიჩი, რამაც ჩემპიონატზე ვაკანტური ადგილების რაოდენობა ოთხამდე გაზარდა. ფიდემ „რეზერვებს" მიმართა და სატურნირო „ღრეჩოების" ამოსავსებად სასწრაფოდ გამოიძახა რუსი დრეევი, შვედი ანდერსონი, ფრანგი ლოტიე და შვეიცარიელი მილოვი, მაგრამ გახსნის ცერემონიალს მოჭადრაკეთა დაგეგმილი სრული ასეული მაინც ვერ დაესწრო. უკვე ნახსენებ მილოვს პირველ ტურზე დააგვიანდა და ავტომატურად წაგება ჩაუთვალეს, ნიგერიელმა იმად ჰაკიმ ვიზის მიღებას ვერ მოაბა თავი, ხოლო 21 წლის ნიჭიერი ირანელი ამირ ბაგერი ამერიკა-ირანის არცთუ მხურვალე ურთიერთობების მსხვერპლი შეიქნა და იმ საგანგებო რეჟიმს შეეწირა, ირანის მოქალაქეთათვის ამერიკაში შესასვლელად რომ დაუწესებია თეთრი სახლის ადმინისტრაციას.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩემპიონატი, რასაკვირველია, მაინც დაიწყო, ვერჩასულებს უმტკივნეულო წაგებები ჩაუთვალეს და მათი მეტოქეები მეორე წრეში ტვინდაუღლელად დაუშვეს. სამაგიეროდ, დანარჩენ წყვილებს შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა და მრავალი ნოკაუტიც დაფიქსირდა.

კლასიკური ჭადრაკის წესებით გამართულმა პარტიებმა უკვე გამოავლინა მომდევნო წრეში გასული 24 ბედნიერი, დანარჩენი 12 კი სწრაფმა ჭადრაკმა ან, თუ საჭირო შეიქნა, ბლიცმა უნდა გამოავლინოს. სამწუხაროდ, ჩემპიონატს უკვე გამოეთიშა ქართველობის პირველი იმედი, მაია ჩიბურდანიძე, რომელიც სომეხ აკოფიანთან დამარცხდა. ყველაფერი პირველ პარტიაში გადაწყდა, როცა აკოფიანმა შავებით მძლავრად შეუტია მაიას მეფეს, ჯერ მხედარი შესწირა, შემდეგ რამდენიმე სვლაში მთლიანად გაანადგურა თეთრების მეფის ფრთის პაიკთა წყობა და შეუჩერებელი კიდურა გამსვლელი პაიკი მიიღო. მეორე პარტიაში გამარჯვებისთვის მებრძოლმა ჩიბურდანიძემ თავიდანვე გახსნა თამაში და ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკიც გააჩერხა. აკოფიანი თავს ოსტატურად იცავდა და სვლების განმეორებას მიაღწია, რაც მისთვის სავსებით საკმარისი იყო. საბოლოოდ, სომეხმა 1,5:0,5 მოიგო და მეორე წრეში გავიდა. მეორე წრიდანვე ჩაებმება ჩემპიონატში ჩვენი მთავარი იმედი, ზურაბ აზმაიფარაშვილი. ღმერთმა ქნას, გაგვიმართლოს!

**დავით გულუა**



# მოკვეთილი და ვერმოკვეთილი




ლუდმილა ენქვისტი

სტოკჰოლმში მძლეოსანთა დიდი პრიზის პირველი კატეგორიის ტურნირზე ბევრმა სახელიანმა სპორტსმენმა მოიყარა თავი — მარიონ ჯონსი, მაიკლ ჯონსონი, ჰაიკე დრექსლერი, მარია მუტოლა... დასტურად ამათი ჩამოთვლაც იკმარებს, თუმცა მაყურებელთა და სპეციალისტთა ყურადღება გამორჩეულად 100 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შეჯიბრისკენ იყო მიპყრობილი. ცამეტთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკზე ლუდმილა ენკვისტი უნდა გასულიყო. ასეთი ინტერესი კი იმით იყო გამოწვეული, რომ შარშან ლუდმილას ექიმებმა მკერდის კიბო დაუდგინეს, ოლიმპიურ ჩემპიონსაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა — დასტაქრებს მიანდო ბედი — ენკვისტს ძუძუ მოკვეთეს. ვაჟკაცივით ქედუხრელი ქალი ავადმყოფობას არ შეუშინდა, ოპერაციის მერე ქიმიოთერაპიის კურსებიც ჩაიტარა და ვარჯიშსაც შეუდგა. და, აი, მოღონიერებული და განკურნებული ლუდმილა კვლავ დაუბრუნდა სარბიელს. მისგან გამარჯვებას არავინ ელოდა, არც თავად სჯეროდა წარმატებისა, თუმცა სტოკჰოლმის სტადიონზე შეკრებილმა ათასობით ქომაგმა პატარა სასწაული იხილა: კიბოს დამმარცხებელმა ქალმა წინაღობები იოლად დაძლია, მეტოქეებიც მოიტოვა და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. 12,68 წამი — ასეთი შედეგით იმარჯვა სკანდინაველთა რძალმა. რძალმაო ვამბობთ და შევახსენებთ, რომ ლუდმილა რუსია, გვარად ნაროჟილენკო, ამ რამდენიმე წლის წინ ცოლად ვინმე ენკვისტს გაჰყვა და მას შემდეგ ტურნირებზე შვედეთის სახელით ასპარეზობს.

ერთი სიტყვით, ნაროჟილენკო-ენკვისტმა მეტოქეებსაც აჯობა და საკუთარ თავსაც, ამიტომაც იყო, ტრიბუნაზე შეკრებილმა მაყურებელმა ოვაცია რომ მოუწყო გაშვედებულ რუსს.

ასეთი წარმატებული ასპარეზობის მერე ლუდმილას სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც რიგიანად რბენა ამოუჭრია გულში, ეგ კი არა, ისიც უთქვამს — ვინძლო, ოქროს მედალს გამოვკრა ხელიო.

ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ მაიკლ ჯონსონს აშკარად არ სწყალობს ბედი. წლეულს, როგორც იქნა, ტრავმა მოიშუშა, სარბიელზეც გავიდა და სადაც კი ირბინა, ყველგან იმარჯვა. სტოკჰოლმში 400 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრშიც გავიდა ბილიკზე, მაგრამ ფინიშის ხაზს ველარ უწია — ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ახლა მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ერთობ საეჭვოა.

მაიკლის თვისტომი, მარიონ ჯონსი ჯერჯერობით არც ჯანმრთელობას უჩივის და მეტოქეებიც ვერაფერს აკლებენ. მარიონმა შვედეთის დედაქალაქშიც ჩვეულად იქროლა, 200 მეტრი 22,07 წამში დაფარა და უბერებელი იამაიკელი მერლინ ოტი (22,50) მეორე ადგილს დააჯერა. სხვათაგან უნდა გამოვარჩიოთ კენიელი ნოა ნგენი, რომელმაც ტიტულოვანი თანამემამულეები პოლ ბიტოკი და ბერნარდ ლაგატი ახლოსაც არ მიიკარა.

110 მეტრზე თარჯრბენში ბრიტანელმა კოლინ ჯექსონმა იმარჯვა. ამ ბოლო დროს მომძლავრებულ ამერიკელ ლარი უეიდს კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — იგი ბოლო, მერვე ადგილზე გავიდა.

**სოსო კოტორეიშვილი**

# ქალი მთხოვა და... მივეცი

ᲓᲘᲓᲘ უცნაური ხალხია ფორმულა 1-ის საძმო და, ნუ გაიკვირვებთ, სადაქალოც. ჯერ ისედაც რა ბევრნი არიან ეს ელიტარული პილოტები, ჰა-ჰა, თითებზე ჩამოითვლებიან, ლამის ყოველს კი კოლეგისთვის წაგვრილი ქალი უზის ან ცოლად ანაც ჩვენებურად საყვარლად, იმათებურად გელფრენდად — მეგობარ ქალად, რაღა. გაიცნობს მავანი თავმომწონე მრბოლი ეშხიან ქალს, გულიც შეუვარდება მასზე, რბოლებსა თუ ნაირგვარ წვეულებებზე დაპატიჟებს, დაუახლოვდება და ... ცოტა ხანში ის ქალი ისე დატრიალდება პილოტთა წრეში, როგორც ბორჯომის ბოთლი ჩვენებურ სუფრაზე.

მოკლედ, ეს ფორმულის ქალებიც ისე იცვლიან პილოტებს, როგორც ესენი გუნდებსა თუ ბოლიდებს.

აგერ, მიკა სალო ავილოთ, ფინელი კაცი, ზამთრის თევზაობის მოყვარული, კვირას გერმანიის დიდ პრიზზე დიდი ღლავიც რომ დაიჭირა — ცხოვრებაში პირველად შედგა ფეხი ფორმულა 1-ის პოდიუმზე.

მანამდეც, რამდენიმე დღის წინ, მიკას მისალოცად ჰქონდა საქმე — დაოჯახდა. ცოლად ვინ მოიყვანა? იაპონელი ნორიკო, ერთი ხანობა ედი ირვინის ქალად რომ იცნობდა მთელი ფორმულა.

ამას ესენი არა დარდობენ და ნურც ჩვენ ვინაღვლებთ. ისა ვთქვათ, რაც ნაღდია: მიკა სალომ თაფლობის თვე ტრასებზეც გაიტკბო.



ФОРМУЛА 1

მიკა და ნორიკო



## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მეe8-d7 13. მc7:a8 ლc4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4




## შვედეთი

XV ტური

ჰამარბი 2:1 იორებრო

ჰელსინგბორგი 2:0 იორგრიტე

გიოტებორგი 1:0 მალმიო

## დანია

II ტური

ოლბორგი 2:0 ვიბორგი

# ბრაზილიური სიხარულის სერიალი

ᲕᲘᲜᲘᲞᲔᲒᲨᲘ პანამერიკულ თამაშებზე მრავალი ქვეყნის სპორტსმენებმა ჩამოირიგეს მედალ-ჯილდოები. მათ შორის, ცხადია, ბრაზილიელებიც არიან. აგერ, ბატონო, მაურო მაჯი (მარჯვენა ფოტოზე), რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენში ვერცხლი ირგუნა და ეს ამბავი ისე გახარებია, სარბენ ბილიკზე ნებივრად წამომჯდარა და ადგომასაც აღარ ფიქრობს. პლაჟის ფრენბურთში ბრაზილიელი ქალები მსოფლიოში უძლიერესებად ითვლებიან. პანამერიკულ თამაშებზეც უპირველესი ფავორიტები არიან და, რაღა გასაკვირია, ადრიანა ბეარისა და სელდა ბედეს წყვილს ვენესუელელთა დამარცხებაც არ გასჭირვებიათ.



REUTERS ვინიპეგიდან





REUTERS სტამბოლიდან

# ნეტავი მერე რა მოხდა?

ᲡᲐᲛᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ტრამპლინიდან კი არა, ასეთი მოლოცვისთვის ეიფელის კოშკიდანაც გადმოხტება კაცი. ბრიტანელმა ანტონიო ალიმ საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატზე სწორედ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამოჰკრა ოქროს ხელი და... აუზიდან ამოსულს უცნობმა თაყვანისმცემელმა ქალბატონმა სულის მოთქმაც არ აცალა და აი, ასე გემრიელად ჩაკოცნა. მერე რა მოხდა, რა ჩვენი საქმეა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

ეროვნული ბიბლიოთეკა